საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი-ოთხშაბათი, 15-16 სექტემბერი. 2020 წ. №114 (9040) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ამერიკა – ამერიკელებისთვის!

ტრამპის მხარდამჭერი ორგანიზაციის მიზანია, ამერიკელებს დაანახოს ქართული ნაციზმის და ლიბერტარიანიზმის ნამდვილი სახე...

8

თბილისის მერია:

სიცრუეა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს მერია და გამგეობები პენსიონერებზე 200-ლარიან დახმარებას გასცემენ

„გვსურს, გამოვეხმაუროთ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, მათ შორის, რაიონების გამგეობები, პენსიონერებზე 200-ლარიან ფინანსურ დახმარებას გასცემს. აღნიშნული ინფორმაციის გამო, რომელიც სრული სიცრუე და დეზინფორმაციაა, დღეს დილიდან გამგეობების სერვისცენტრებში პენსიონერების რიგები არ წყდება. ისინი აცხადებენ, რომ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით, აღნიშნული დახმარების შესახებ შეიტყვეს.

გვინდა, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ მსგავსი დახმარების პროგრამა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არ მოქმედებს. შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად. მოვუწოდებთ ნებისმიერ პირს, მსგავსი გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისგან თავი შეიკავონ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ჩვენი საზოგადოების ყველაზე დაუცველ ნაწილს – პენსიონერებს ეხება“, – აღნიშნულია თბილისის მერიის განცხადებაში.

ახალი სახეები სუფთა ბიოგრაფიით მოსული ხალხია და მათკენ ხელის გაშვერა ასე ადვილად ვერ მოხდება!

6

პანდემიის პირობებში ინვესტორები საქართველოდან არ გაქცეულან!

3

გამარჯვების სეხნია

10



ახალ ამბავში

რატომ არ უნდა ეკეთოს მოსწავლეს სკოლაში პირბადე?

9

ინფექციონისტი სამ მნიშვნელოვან მიზეზს ასახელებს

საამაყო თბილისელი – ჭეშმარიტი მამულიშვილი



5

ღვაწლმოსილი მკურნალი-ექიმი, პედაგოგი, მეცნიერი, პროფესორი ირაკლი მეგრელაძე

ვუთხრა გოგიაშვილი

ჩემი გიორგი ლეონიძე,

ვინც ქართული ენის ნაყოფიერ ხოდაბუნში, როგორც გულთმისანმა გუთნისდედამ, მარადიული ღალიანი ორნატი გათელა



მოგონებანი ნოემოიღან

...ეს მნიშვნელოვანი პროცესია საქართველოს სასამართლო სისტემის გაძლიერებისა და განვითარებისთვის

ძალიან სასარგებლო და მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. კარგი შესაძლებლობა იმისათვის, რომ სხვადასხვა საკითხი გაგვევლო, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, — განაცხადა აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა პარლამენტის თავმჯდომარის, დიპლომატიური კორპუსის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრის დასრულების შემდეგ.

„მომზადებულია ცვლილებები, რომელიც სასამართლოსთანაა დაკავშირებული. ეს ცვლილებები მიმართულია სასამართლო პროცესის გაძლიერებისკენ, მისი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებისკენ. მნიშვნელოვანი რეკომენდაციები იყო ვენეციის კომისიისგან, ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისგან, ევროკავშირისა და საქართველოს სხვა პარტნიორი ქვეყნებისგან. ეს არის მნიშვნელოვანი პროცესი საქართველოს სასამართლო სისტემის გაძლიერებისა და განვითარებისთვის“, — განაცხადა კელი დეგნანმა. შეხვედრაზე საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებებზე იმსჯელეს. კანონპროექტის გათვალისწინებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესის ყველა ეტაპზე გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი შემოდის, რომელსაც რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა განწესების პროცედურის მსგავსად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი განახორციელებს. ცვლილებებით განისაზღვრება, რომ დასაბუთების სტანდარტის გარდა, ასევე შესაძლებელი იქნება, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის ნებისმიერ ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრება. კანონპროექტში აღნიშნულია, რომ თავად ეს პროცესი განსხვავებით რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა განწესების შემთხვევისა, როდესაც მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ გადაწყვეტილებას თავად იუსტიციის საბჭო იღებს, უფრო შემჭიდროებული ვადის ფარგლებში განხორციელდება.

ცვლილებების ინიციატორები საპარლამენტო უმრავლესობის წევრები გურამ მაჭარაშვილი, რატი იონათამიშვილი და ირაკლი კობახიძე არიან.

პოლიტიკურმა პარტიებმა ქცევის კოდექსს უნდა მოაწეროონ ხელი!

აშშ-ის ელჩმა საქართველოში პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი დადებითად შეაფასა. ჟურნალისტებთან საუბარში კელი დეგნანმა აღნიშნა, რომ პარტიებს დოკუმენტის ხელმოწერისკენ მოუწოდებს.

„ვფიქრობ, რომ ეს ძალიან კარგი ინიციატივაა და ცენტრალური საარჩევნო კომისია შექებას იმსახურებს. ჩემი აზრით, ის ასახავს გარკვეულ ძირეულ პრინციპებს, რომლებიც ხელს შეუწყობს თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებას. შესაბამისად, პარტიებს ვურჩევ, ქცევის კოდექსს ხელი მოაწერონ“, — განაცხადა დეგნანმა. ქცევის კოდექსი საერთაშორისო პარტნიორების ინიციატივით, ხელისუფლებამ და ცესკომ შეიმუშავეს. დოკუმენტი იმ ეთიკურ პრინციპებს აერთიანებს, რომლებიც მაქსიმალურად მშვიდი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად არის საჭირო.

* * *

ოპოზიციურმა პარტიებმა პროცედურა სახელისუფლებო გუნდთან ერთად არ ჩაატარეს. როგორც შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, ოპოზიცია არ აპირებს „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობას რადგან, მმართველ გუნდს ქვეყნის განადგურება სურს.

ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი დოკუმენტი ცესკოს მიერ მომზადდა, რაშიც საერთაშორისო ორგანიზაციები, USAID და IRI იყვნენ ჩართული. კოდექსში გაწერილია საარჩევნო კამპანიის წარმართვისას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დადგენილი მიუღებელი ქცევები. კერძოდ საუბარია, სიძულვილის ენაზე, ამომრჩევლის მოსყიდვასა და შეურაცხმყოფელ განცხადებებზე.

არჩილ თალაკვაძის განმარტებით, აღნიშნული ცვლილებები ორ მნიშვნელოვან საკითხს — უვადოდ დასანიშნი მოსამართლეების შესახებ გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულებასა და მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას უკავშირდება. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებს განუცხადა, მომზადებული ცვლილებების შესახებ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მიმდინარე სასესიო კვირაში იმსჯელებენ. პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა ისიც, რომ სასამართლო რეფორმაზე მუშაობას გააგრძელებს მომდევნო მოწვევის პარლამენტიც.

ცვლილებები სასამართლოების შესახებ კანონმდებლობაში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე დიპლომატიური კორპუსის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე სასამართლოების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებებზე ისაუბრეს, რომელიც ვენეციის კომისიის რეკომენდაციების მიხედვით მომზადდა.

კონტრტერორისტული ოპერაცია — საჩვენებელი სწავლება

„ღირსეული პარტნიორი 2020“-ის ფარგლებში საქართველოსა და პოლონეთის სპეციალური ოპერაციების ძალების მიერ ერთობლივი საჩვენებელი სწავლება — კონტრტერორისტული ოპერაცია — რეიდი ვაზიანის სასწავლო ბაზაზე ჩატარდა.

სპეცოპერაციების ძალების ქვედანაყოფების უსაფრთხოებას სნაიპერული ჯგუფები, ხოლო ჰაერიდან — ამერიკული საბრძოლო ვერტმფრენები „აპაჩი“ უზრუნველყოფდნენ, სამედიცინო ევაკუაცია კი, ამერიკულმა მედევაკმა „შავმა ქორმა“ განახორციელა. სწავლებაში ჩართული იყო ქართული წარმოების ჯავშანმანქანა „მეომარი“ და პოლონეთის შეიარაღებაში არსებული ჯავშანტექნიკა „ოშკოში“.

საჩვენებელი სწავლება ამერიკული „აპაჩების“ მიერ მოწინააღმდეგე მხარის საგუშაგო პოზიციების განადგურებით დაიწყო, რის შემდეგაც ქართველი და პოლონელი სამხედროებით დაკომპლექტებული სპეციალური ოპერაციების ძალების ქვედანაყოფები საბრძოლო ჯავშანმანქანებით ობიექტზე შევიდნენ და შენობაზე იერიში განახორციელეს. ერთობლივი ოპერაციის შედეგად სპეციალური ძალების ქვედანაყოფებმა პირობითი მოწინააღმდეგე გაანადგურეს. სცენარის მიხედვით, კონტრტერორისტული ოპერაციის დროს ერთი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა, რომელსაც ადგილზევე ჩაუტარდა პირველადი სამედიცინო დახმარება. კვალიფიციური სამედიცინო დახმარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დასტაბილურების მიზნით კი, დაჭრილი სამხედროს ევაკუაცია საველე ჰოსპიტალში ამერიკული მედევაკით „შავი ქორი“ განხორციელდა.

◎ წკეპლიკა

სორგო ოპოზიციის დიდ პოლიტიკაში

ბრიშა და ბიგა ჭეიანენ...



გახსოვთ, დათვმა რომ არაკი თქვა რუქასავით, **ნაჯახით მიყენებული ჭრილობა მოვიშუშე, სიტყვით მიყენებული კი ვერაო.**

აი, თუნდაც იმდღევანდელი:

სელაპ ვაშაძემ გიგაზე აშკარად გულში დიდი ხნის ნატარები ბოღმით, აგდებით „წაუიაზვა“: „მე ბოკერია ისე მაინტერესებს, როგორც ტანზანიაში სორგოს მოსავალიო“...

ეს არ უნდა ეთქვა ძველი თანამიშელისთვის, მარჯვნივ და მარცხნივ ბრძოლაში დამაშვრალი გიგასთვის (არც თამარა ჩერგოლეიშვილისთვის, რასაკვირველია).

ჯობდა შეეგინებინა.

ჯობდა დაერტყა, ბოლოს და ბოლოს.

როგორც ტანზანიაში სორგოს მოსავალიო.

რას არ იკადრებს კაცის ენა.

პაპაიას ან ბატატისო, რომ ეთქვა, კიდევ შეუნდობდა კაცი.

არა, მაინცდამაინც, სორგოსიო, კაცო!

და თავში ძალაუნებურად მოგდის საშინელი ვარაუდი, რომ სორგოს უკან... მიშა საკაშვილია ჩაცუცქული, რომ სორგო მიშამ ჩააწოდა გრიშას.

თვითონ ამას ვერ მოიფიქრებდა, თვითონ ტანზანიაში ვერ ჩავიდოდა.

მიზანშიც მოარტყა: თქვა და გიგა, მთელი ამ საოქტომბრო კამპანიის ცისკრის ვარსკვლავი, კინაღამ გამოთიშა ფოთში საარჩევნო ფართიფურთს, კინაღამ შავები ჩააცვა სერგი კაპანაძესა და ელენე ხოშტარიას.

და ახლა მთელი ევრონაცობა მისჩერებია, როდის გამოვა გიგა ნოკაუტიდან და როგორ უპასუხებს შეურაცხყოფას.

არადა, გიგას სიტყვა უჭრის, შეიძლება მუშტიც, ვინ იცის.

ჰოდა, რომ აიღოს და ერთ დღესაც ნათელაშვილის ბაღებში გლიჯოს იმ შეღერებულ ყბაში, ანუ სიტყვიერად კი არ უპასუხოს სორგოს მსგავსი ბოტანიკური უხამსობით, არამედ პლებეურად — მუშტით!

ან იქნებ ავთანდილივით დაჯდეს წერად ანდერძისად, ვთქვათ ასე: **„მოწყალეო ხელმწიფევ, ვრაცხ რა თავს თქვენგან სასტიკად შეურაცხყოფილად, გიპასუხებთ პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად — იდიტე ვი ნა ხ...“ და ა.შ. და ა.შ. ლოგიკურად გამომდინარე გაგრძელებებით.**

ეს ვარაუდი, რა თქმა უნდა, ნაკლებად მოსალოდნელია ისეთი რანგისა და პოლიტიკური წარმომავლობის მოღვაწისგან, როგორიც ბოკერიაა, უფრო კაკოია ბობოხიძეს შეესატყვისება, მაგრამ ასპროცენტიანად გამორიცხული ამქვეყნად არაფერია.

ანდა, არც ერთი, არც მეორე და სულაც მესამე — ვთქვათ, ამოუქექოს და გაუვრცელოს (ხმების გავრცელების სამსახური, მოგეხსენებათ, ყველა ჯურის ნაცებს საათივით ანყობილი აქვთ), რომ **ეს ვითომ რესპექტაბელური გრიგოლ-სელაპი მერვე კლასამდე თურმე ქვეშ იფსამდა ან, კიდევ უარესი — მეზობელ პენსიონერ ქალბატონს ბანაობისას უჭვრიტინებდა...**

მაგრამ ამასობაში მასების უკმაყოფილო ხმა ჩამესმის, მაინც რა ეშმაკია ეს სორგო, ასე ნასროლ ხელთათმანად რომ ექცა გაერთიანებული ოპოზიციის დიდ პოლიტიკასო.

სორგო ერთწლიანი (მრავალწლიანიც) მარცვლოვანი მცენარეა. არის სამარცვლე, შაქროვანი, საცოცხე ჯიშების და სხვა, სულ 50 სახეობისა. სორგოს მარცვლისგან ამზადებენ ფქვილს, ბურღულს, სპირტს, სახამებელს, შაქროვანი სორგოს ღეროებისგან — ბადაგს. მარცვალი და მწვანე მასა ცხოველთა კარგი საკვებია...

ისე რომ, სორგო ვინმეს, მაგალითად, გრ. ვაშაძის ხელწამოსაკრავი სულაც არ არის, თანაც ჩვენთვის, ქართველებისთვის, ასე თუ ისე, ნაცნობია. ამ მცენარის სამშობლო ეკვატორული აფრიკაა, მაგრამ დღეს ყველაზე მეტს ინდოეთში თესავენ, ყოფილ საბჭოთა კავშირში ეს გვალვაგამძლე მცენარე მოჰყავდათ ყაზახეთში, ვოლგისპირეთში, სამხრეთ უკრაინაში, საქართველოშიც კი — უფრო მშრალ, ურწყავ ადგილებში.

აი, ეს არის სორგო, რომელიც არ აინტერესებს გრიშას, ისევე, როგორც გიგა ბოკერია.

მაგრამ სიმართლე ის არის, რომ სორგო შეიძლება მართლაც არ აინტერესებს, აი გიგასთან დაკავშირებით კი აშკარად ცრუობს. ეს კაცი მას, ნაცების თავმჯდომარეს, აშკარად აინტერესებს, ყოველ შემთხვევაში, უნდა აინტერესებდეს: ჯერ ერთი მისი პარტიის განაყარის ლიდერია, მეორეც — მისი პარტიის ერთ-ერთი რეალური კონკურენტია, ანუ საცა გიგა ძოვს, იქ გრიშა ვერ მოძოვს, აი, პირიქით კი, შეიძლება მოხდეს.

ამაზე იტყოდა ილია — „დიდი სიბრძნეა კაცისა ცნობა თავისი თავისაო“.

ალეკო ასლანიშვილი

გაეცანით, დამშვიდდით, გამოჯანმრთელდით!

41
ქართული ოცნება
ერთად საქართველოს წარმატებისთვის!
ქართული ოცნება • GEORGIAN DREAM

მოდით, ერთად ვაშენოთ ჩვენი ქვეყანა!
კვლავაც ერთად ვიაროთ წინ ევროპისკენ!
კვლავაც ერთად ვაშენოთ დემოკრატია!
კვლავაც ერთად ვიაროთ ჩვენი ერთიანი და ძლიერი, ჩვენი საოცნებო საქართველოსკენ!
ერთად საქართველოს წარმატებისთვის!

COVID-19-თან ბრძოლის ანტიკრიზისული გეგმის განსახორციელებლად მხოლოდ 2020 წლის განმავლობაში 3.5 მლრდ ლარი დაიხარჯება.

მოქალაქეებზე ზრუნვისა და მათი სოციალური მხარდაჭერისთვის

1.04 მლრდ ლარი

სოციალური პაკეტი	
• დახმარება უმუშევრად ან უხელფასოდ დარჩენილი დაქირავებით დასაქმებულებისთვის	450 მლნ
• დახმარება შემოსავლის გარეშე დარჩენილი თვითდასაქმებულებისთვის	75 მლნ
• სოციალური დახმარება მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, 65-100 ათასი ქულის მქონე ოჯახებისა და შშმ პირებისთვის	85 მლნ
• კომუნალური გადასახადების განულება შესაბამისი საჭიროების მქონე ოჯახებისთვის	170 მლნ
• ძირითად სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდის დაზღვევა	10 მლნ

ეკონომიკაზე ზრუნვისა და მეწარმეთა მხარდაჭერისათვის

1.70 მლრდ ლარი

ეკონომიკური პაკეტი	
• სოფლის მეურნეობის პროექტების მხარდაჭერა	250 მლნ
• კომპანიების პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერა	171მლნ
• კომპანიებისთვის დაბრუნებული დღგ	600 მლნ
• ავტოიმპორტიორებისთვის განბაჟების გადავადება	50 მლნ
• ტურისტული ბიზნესებისთვის გადასახადების გადავადება	135 მლნ
• მცირე სასტუმროებისთვის სესხის პროცენტის სუბსიდირება	60 მლნ
• კომერციული ბანკებისთვის მიწოდებული ფინანსური რესურსი	600 მლნ
• საკრედიტო-საგარანტიო სქემა	330 მლნ

ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებისა და პანდემიასთან ბრძოლისათვის

350 მლნ ლარი

პანდემიის პირობებში ინვესტორები საქართველოდან არ გაქცეულან!

ინვესტიციების მხრივ ქვეყანაში ბოლ პერიოდში რთული ვითარებაა, მაგრამ ბოლო კვარტლის მონაცემებმა მცირეოდენი იმედი გააჩინა. საქმე ისაა, რომ პანდემიის პიკის პერიოდში საქართველოში ინვესტიციები არათუ შემცირდა, უმნიშვნელოდ გაიზარდა კიდეც.

„საქსტატის“ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 2020 წლის მეორე კვარტალში საქართველოში 237.8 მილიონი დოლარი შემოვიდა, რაც წინა წელთან შედარებით 0.5%-ით მეტია. თუმცა, 2020 წლის პირველ და მეორე კვარტალში ჯამურად 409.6 მილიონის ინვესტიციები შემოვიდა, რაც წინა წელთან შედარებით 140.7 მილიონი დოლარით, ანუ 25.56%-ით ნაკლებია. მთლიან კაპიტალდაბანდებებში რეინვესტიციების მოცულობამ 144.7 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც მთლიანად ინვესტიციების 60.8%-ს უტოლდება.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2020 წლის II კვარტალში 57.0 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 78.1 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 32.9 პროცენტია. მეორე ადგილზეა ენერგეტიკის სექტორი — 29.6 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე — მშენებლობის სექტორი 27.7 მლნ აშშ დოლარით.

„მეორე კვარტლის ინვესტიციები მშპ-ს დაახლოებით 6%-ია, რაც მაღალი მაჩვენებელია და ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტენდენციის შენარჩუნება“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ **ნიკოლოზ გაგუამ** საქსტატის მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეორე კვარტლის მაჩვენებლების შეფასებისას.

ინვესტიციებში რეინვესტირების მოცულობის ზრდა მკაფიოდ მიანიშნებს, რომ უცხოელ ინვესტორებს არათუ გააქვთ მოგება, რომელსაც საქართველოში იღებენ, არამედ ტოვებენ ქვეყანაში. ეკონომიკის მინისტრის **ნათია თურნავას** შეფასებით ამით იქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

საქართველო-ევროკავშირის ბიზნეს-საბჭოს ხელმძღვანელი **სანდრო ჭუმბურიძე** ამბობს, რომ მსოფლიოში არსებული მძიმე ვითარების ფონზე, საქართველოს უცხოური ინვესტიციების კუთხით კიდევ ნორმალური მაჩვენებელი აქვს.

„უცხოელი ინვესტორების ჩაგვრის ზღაპარი კიდევ ერთხელ გაქარწყლდა“, — ასე აფასებს, ანალიტიკოსი **ვახტანგ ჭარაია** კაპიტალდაბანდებების ზრდას.

„გლობალური პანდემიით გამოწვეული მრავალი ადგილობრივი თუ საერთაშორისო შეზღუდვისა და გაეროს მიერ 2020 წელს ნაპროგნოზირები უცხოური ინვესტიციების 40-პროცენტიანი ვარდნის მიუხედავად, საქართველოში წლის მეორე კვარტალში ფინანსურად უმნიშვნელო, თუმცა შინაარსობრივად განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი — 0.5-პროცენტიანი ზრდა დადასტურდა.

თუმცა ყველა სპეციალისტი დადებითად არ უყურებს ბოლოდროინდელ მონაცემებს. მაგალითად, ფინანსისტ **გიგა ბედინეიშვილის** აზრით, თუკი მთავრობის წევრი ან ვინმე ფიქრობს, რომ მეორე კვარტალში 0,5%-იანი მატება კმაყოფილების საფუძველია, ეს უკვე პრობლემაა.

„საამაყო ამაში არაფერი არ არის, იმდენად მცირე ციფრებზე ჩამოვედით, რომ ერთი ტრანზაქცია უკვე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და შესაძლოა, ერთი ტრანზაქციით მინიმალურ ზრდას მიაღწიო. ფაქტია, რომ ტენდენციას უნდა შევხედოთ და არა ერთ კვარტალს. ორი კვარტლის ჯამში აშკარაა მკვეთრი დაცემა და ეს უკვე წლებია, ასეა. ასე იყო იქამდეც, ვიდრე პანდემია დაიწყებოდა“...

ამასთან, ფინანსისტმა ხაზი გაუსვა, რომ სამომავლო პროგნოზიც არ არის კარგი, რადგან ინვესტიციების კლებას ფუნდამენტური მიზეზები აქვს და ეს მიზეზები არც ისე ცოტაა.

ბექა დანელია

სახელოვანი წარსული და დღევანდელობა უკეთეს მომავალს აღუღაბებს!

„ეკონომიკა არ უნდა იზრდებოდეს ეკოლოგიის ხარჯზე. რუსთავის ეკოლოგიური მდგომარეობა ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა“...

ნინო ლაცაბიძე:

დაიბადა 1985 წლის 14 ივნისს. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც მიენიჭა სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხი, ხოლო შემდგომში — ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, სადაც მიენიჭა საბანკო საქმის მაგისტრის ხარისხი.

2014 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და ბიზნეს-ინჟინერინგის დოქტორანტი, აგრეთვე მიწვეული ლექტორი — შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

2008-13 წლებში იყო თბილისის მერიის ადმინისტრაციის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის კონსულტანტი, მთავარი სპეციალისტი.

2015-16 წლებში მუშაობდა მერიის ადმინისტრაციის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის უფროსად. იყო მერიის ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო 2016-17 წლებში — ამავე სამსახურის უფროსი.

2017 წელს „ქართული ოცნების“ წარდგენით, ისნის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულ იქნა თბილისის საკრებულოს წევრად. არის თბილისის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

— ქალბატონო ნინო, ძალიან საინტერესო ბიოგრაფია გაქვთ... თქვენი განათლებით, სპეციალობით შეგეძლოთ, სარგებლობა მოგეტანათ ჩვენი ქვეყნისთვის და გაგეწიათ ღირსეული სამსახური, მაგრამ თქვენ ისურვეთ პოლიტიკაში წასვლა, რატომ?

— რეალურად პოლიტიკა არის ის ადგილი, სადაც შეიძლება, რომ შევცვალოთ ბევრი რაღაც და მე დავინახე ამის შესაძლებლობა. ჩემი გამოცდილებით, იმ განათლებით, რაც მივიღე, მაქვს შანსი, რომ ჩემს ქალაქში, რომელთანაც ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი პერიოდი მაკავშირებს, შემეცვალა თუნდაც ის, რაც მე არ მომწონდა ჩემს ბავშვობაში და შემეცვალა ჩვენი შვილებისთვის და ჩვენი მომავლისთვის.

— ძალიან კარგად ყღერს: პოლიტიკოსი ქალი, მით უმეტეს ჩვენს ქვეყანაში, სადაც მეფე ქალი — თამარი და კიდევ რამდენი ღირსეული ქალბატონი გვყავდა. ძალიან გვეამაყება, რომ საქართველოს პარლამენტში რუსთაველებს მაჟორიტარი დეპუტატი ქალი გვეყოლება. დაგვისახელეთ პოლიტიკოსი ქალის თქვენი იდეალი.

— ალბათ არიან პოლიტიკოსი ქალები, ვისგანაც კონკრეტულ თვისებას , მიზანსწრაფულობას ან რაღაც ხედვას ავიღებდი, ამიტომ მყავს ფავორიტი ადამიანები, მაგრამ კონკრეტულად ერთ მაგალითს ვერ დავასახელებ. მნიშვნელოვანია ქალთა გაძლიერება პოლიტიკაში. ამასთან დაკავშირებით დღეს „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და ქალთა კვოტირება სწორედ ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითია. იმის მიუხედავად, რომ მაჟორიტარებში ჩვენი პარტიიდან მხოლოდ ერთი ქალი ვარ, როცა „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის პროპორციული სია გამოქვეყნდება, თქვენ იქაც ნახავთ ბევრ ქალს. მიმაჩნია, რომ ეს მექანიზმი, რომელიც ახლა ჩვენმა გუნდმა დააინიცირა, იქნება ძალიან კარგი მასტიმულირებელი იმისთვის, რომ ქართულ პოლიტიკაში მოხდეს ქალთა გაძლიერება.

— არც მატრიარქატი იქნება და არც პატრიარქატი...

— კი, მე ამას აუცილებლად ხელს შევუწყობ ჩემი მუშაობით საქართველოს პარლამენტში.

— ქალბატონო ნინო, პოლიტიკა, ოჯახი, მეუღლე, ოთხი შვილი, შეიძლება ითქვას, ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული მხარეა ქალბატონის მოღვაწეობაში. თქვენ როგორ ანაწილებთ დროს, ძალისხმევას, სითბოს, სიყვარულს, ორივე მხარეს დიდი დრო და ყურადღება სჭირდება... პოლიტიკაში წარმატებული ბრძანდებით და ოჯახში როგორ არის, ბავშვები ხომ არ გსაყვედურობენ?

— ჩემთვის ოჯახი არის მოტივაციის ის წყარო, რომლითაც მე პოლიტიკაში ვარ... ოჯახი ყოველთვის არის პირველ ადგილზე, სწორედ ოჯახიდან გამომდინარეა, რომ მაქვს ენერგიაც, მონდომებაც, რომ ჩემი პოლიტიკური საქმიანობით ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას შევუწყო ხელი.

— ქალბატონო ნინო, თქვენ რუსთაველი ბრძანდებით და რუსთავის პრობლემები თქვენთვის ცნობილია. ხაზს უსვამთ, რომ ეკოლოგია რუსთავისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ არის დემოგრაფიული უკუსვლაც, უმუშევრობაც, განსაკუთრებით ქალთა დაუსაქმებლობაც. არსებული პრობლემების გადაჭრის როგორი ხედვა გაქვთ, როგორ აღიქვამთ მათ და საერთოდ, რას გვთავაზობთ მათ გადასაწყვეტად?

— ჩვენ ახლა ვმუშაობთ ეკოლოგიაზე, რომელიც არის მნიშვნელოვანი გამოწვევა ქალაქისთვის. ვმუშაობთ დასაქმების საკითხზე და ამავე დროს სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე. ასევე ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დასაქმება ქალაქში და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა, ვმუშაობთ იმაზე, რომ, როგორც თბილისი ვითარდება და აქვს მრავალფეროვანი სერვისები, მასთან თანაბარ პირობებში პარალელურად განვითარდეს რუსთავიც. რასაც თბილისელი მოქალაქე იღებს, ანალოგიური უნდა მიიღოს აუცილებლად რუსთაველმაც. საქართველოს მასშტაბით ყველგან თანაბარი სერვისი უნდა იყოს ხელმისაწვდომი საქართველოს ყველა მოქალაქისთვის და არ უნდა იგრძნობოდეს განსხვავება მუნიციპალიტეტებს შორის. ვიმუშავებთ იმაზე, რომ თვითმმართველი ქალაქი გახდეს უფრო ძლიერი და ის დოვლათი, რაც ქალაქში იქმნება, დარჩეს ქალაქში და მოხმარდეს ჩვენს კეთილდღეობას.

— რადგან თქვენ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ერთადერთი ქალბატონი ბრძანდებით, თქვენი საქმიანობის პერიოდში ქალების მიმართ უფრო მეტ აქცენტებს გააკეთებთ, ალბათ, ვიდრე მამაკაცი კანდიდატები. ჯერჯერობით ალბათ ნაადრევია ამაზე საუბარი, მაგრამ ხომ არ იცით უკვე, კონკრეტულად რას გააკეთებთ ქალებისთვის?

— რა თქმა უნდა, მე ამაზე ვმუშაობდი თბილისში და კვლავ გავაგრძელებ. ვმუშაობ მრავალშვილიანი დედების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალბატონების პრობლემებზეც, მათ სოციალიზაციაზე და ჩართულობაზე , მათ სერვისებზე, ასევე ვმუშაობდით პროფესიული გადამზადების კუთხით და ამას აუცილებლად გავაგრძელებთ რუსთავშიც.

— წინასაარჩევნოდ განსაკუთრებულს რას ეტყვით ამომრჩეველს?

— მე რომელ გუნდსაც წარმოვადგენ, ეს არის პასუხისმგებლიანი გუნდი, ძალიან სწორი ხედვებით, ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის დიდი პერსპექტივით. განახლებული ენერგიით და ტემპით ვაპირებთ, რომ ეს გუნდი გავაძლიეროთ და მეტი სიახლე და სიკეთე მოვუტანოთ ჩვენს თანამოქალაქეებს. მინდა, გულწრფელად დავარწმუნო ჩემი ამომრჩეველი, რომ მთელ ჩემ ენერგიას და ოცნებას მოვახმარ თითოეული რუსთაველის კეთილდღეობას, ჯანმრთელობას და სოციალური ყოფის გაუმჯობესებას...

ესაუბრნენ

თინათინ სიყმაშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი;

გივი ჯახუა,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი. რუსთავი-თბილისი

ზუგდიდი - სააკაშვილთა საოჯახო პლაცდარმი?

საქართველოს მესამე პრეზიდენტის დედა გიული ალასანია აცხადებს, რომ დაზუსტებით არაა გადაწყვეტილი, იქნება თუ არა ზუგდიდში „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატი.

„იყო რაღაც პროცესი, მაგრამ მგონი, სხვა იქნება მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. ოფიციალური შეთავაზება ჯერ არ მიმიღია. არ ვიცი, ბევრი მომენტია, ვნახოთ რა იქნება, გამოჩნდება ამ დღეებში“, — განაცხადა გიული ალასანიამ „ქრონიკასთან“ საუბრისას.

იქამდე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აღმასრულებელმა მდივანმა კობა ნაყოფიამ განაცხადა, რომ 15 სექტემბერს პარტია წარადგენს მაჟორიტარ კანდიდატებს. როგორც ნაყოფია აღნიშნავს, ზუგდიდში მაჟორიტარი კანდიდატი, სავარაუდოდ, გიული ალასანია იქნება.

P.S. ჯერ კიდევ „ახლო წარსულში“ რუსთავი იყო მძლავრი ინდუსტრიული ცენტრი და რესპუბლიკის ეკონომიკის ერთ-ერთი ბურჯი. რუსთაველები სრულიად სამართლიანად ვამაყობდით ჩვენი ქალაქით... არა მარტო აქ წარმოებული პროდუქციით, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნებოდა, ამასთან - განათლების, მეცნიერების, კულტურის სფეროში მიღწეული წარმატებებით, სამეცნიერო, საინჟინრო-ტექნიკური, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებით... რუსთავს, როგორც სამრეწველო და ერთ-ერთ კულტურულ ცენტრს, სტუმრობდნენ ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, თეატრალები. რუსთავზე იწერებოდა წიგნები, იღებდნენ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს. რუსთაველთა მიღწევები, სიახლეები ინერგებოდა მეზობელ ქვეყნებში.

ეს ყველაფერი წარსულის საამაყო და იმავდროულად მტკივნეულ მოგონებად არ უნდა დარჩეს! რუსთავი აუცილებლად უნდა აღორძინდეს და წარმატების სიმბოლო გახდეს!

საამაყო თბილისელი - ჭეშმარიტი მამულიშვილი



ღვაწლმოსილი მკურნალი-ექიმი, პედაგოგი, მეცნიერი, პროფესორი ირაკლი მეგრელაძე

ქართული სამედიცინო სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია ძირძველი თბილისელი, ღვაწლმოსილი მკურნალი, პედაგოგი და მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ირაკლი მეგრელაძე**. ქართველი საზოგადოება და კოლეგები მას იცნობენ როგორც წარმატებულ მეცნიერ-კლინიცისტს.

პროფესორ ირაკლი მეგრელაძის სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავს კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის ფართო სპექტრს.

წლეულს 90 წელიწადი შესრულდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტად გარდაქმნის დღიდან, დღეს კი იგი ფუნქციონირებს როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად 1969 წლიდან დღემდე ირაკლი მეგრელაძის სამეცნიერო მიზანი მიმართულია კარდიოლოგიურ დაავადებათა პათოგენების, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრობლემების შესწავლისადმი, როგორც კლინიკაში ისე ექსპერიმენტის პირობებში. მის მიერ შემუშავდა არაჩვეულებრივი პერიფერიულ განხრებზე დაფუძნებული ეკგ კრიტერიუმები. იგი იყო პირველი, თანაავტორებთან ერთად, რომელმაც გამოიყენა სისხლის ზესუსტი ნათების რეგისტრაციის უახლესი ბიოფიზიკური მეთოდი მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ადრეული დიაგნოსტიკისათვის.

პროფესორი ირაკლი მეგრელაძე, ორ კოლეგასთან ერთად, ნოვატორია საქართველოში ულტრაბგერითი მეთოდის დანერგვაში მუცლის და მუცლის ღრუს ორგანოების დაავადებათა დიაგნოსტიკის სრულყოფისათვის.

მნიშვნელოვანია პროფესორ ირაკლი მეგრელაძის ფუძემდებლური კლინიკურ-ექსპერიმენტული გამოკვლევები, რაც მიუძღვნა ენდოგენური, ანუ ორგანიზმში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყენების შესაძლებლობების დადგენას გულის იშემიური და არაიშემიური დაავადებების დროს.

ბატონი ირაკლი მეგრელაძე 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომის და მონოგრაფიის ავტორია. 1998 წელს იგი აირჩიეს საერთაშორისო აკადემიათა საზოგადოების წევრად.

საქართველოს ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის დროს მისი დიდი მცდელობით, გამოცდილ ექსპერტებთან ერთად, მოხერხდა საქართველოს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრება.

ჯანმო-ში გაწევრებამ და აშშ-ში გაფორმებულმა ხელშეკრულებებმა დასაბამი მისცეს მრავალმხრივი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პროგრამების განხორციელებას საქართველოში.

ბატონ ირაკლი მეგრელაძის სრულყოფილი სამკურნალო-პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა ჯეროვნად დაუფასდა და იგი დაჯილდოებულია არაერთი ჯილდოთი და საპატიო სიგელით.

ამჟამად ბატონი ირაკლი არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი, კარდიოლოგიის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი, შპს „ამტელ-ჰოსპიტალ პირველი კლინიკური საავადმყოფოს“ კარდიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ბატონ ირაკლი მეგრელაძის მსგავსი სასიქადულო პიროვნებები, ჭეშმარიტი მამულიშვილები!.. იმედს გამოვთქვამ, რომ იგი კიდევ დიდხანს მუხლჩაუხრელად იღვაწებს ქართული სამედიცინო სკოლისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

თამაზ შილაკაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

სრული კარანტინისა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება არ იგეგმება

ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნათია მეზვრიშვილმა საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სრული კარანტინის გამოცხადება არ იგეგმება, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას არ ვაპირებთ, სრულად აკონტროლებს დღეს მთავრობა სიტუაციას. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იზრდება ინფიცირებულთა რაოდენობა და გვმართებს განსაკუთრებული სიფრთხილე.

მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება, უნდა გვეკეთოს პირბადე, უნდა დავიცვათ დისტანცია, მაქსიმალურად უნდა შევიკავოთ თავი არასაჭირო თავყრილობებში მონაწილეობისგან“, — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

ისრაელში საყოველთაო კარანტინი გამოცხადდა

ისრაელში საყოველთაო კარანტინთან დაკავშირებით საქართველოს საელჩო მოქალაქეებს აფრთხილებს. საელჩოს განცხადებაში აღნიშნულია, რომ ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის 18 სექტემბრის 14:00 საათიდან ქვეყანა საყოველთაო კარანტინის რეჟიმზე გადავა. შემზღუდველი ზომები სამ კვირას გასტანს.

„სკოლები და საბავშვო ბაღები მუშაობას 18 სექტემბერს შეწყვეტენ; დაიხურება: რესტორნები, კაფეები, სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები, კერძო პანსიონატები და ტურისტული ობიექტები; ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს შორის გადაადგილება შეიზღუდება; გადაადგილების აუცილებლობის შემთხვევაში, საცხოვრებელი სახლიდან დისტანცია 500 მეტრს შეადგენს; შესაძლებელი იქნება შინ მოტანის სერვისით სარგებლობა.

საჯარო დაწესებულებები შეწყვეტენ მოქალაქეთა მიღებას და შეზღუდული გრაფიკით იმუშავებენ; შეკრების ადგილებში, ადამიანთა დასაშვები რაოდენობა დახურულ სივრცეში შეადგენს ათს, ხოლო ღია სივრცეში ოცს. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა შეიზღუდება, თუმცა სრულად არ შეჩერდება“, — აღნიშნულია ისრაელში საქართველოს საელჩოს ინფორმაციაში.

ბათუმის იუსტიციის სახლმა მუშაობა განაახლა

იუსტიციის სახლის ინფორმაციით, მომხმარებლები სერვისებს კვლავ ვიზიტის წინაწარი დაჯავშნის პრინციპით მიიღებენ, რაც ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე უკვე შესაძლებელია.

გარდა ვიზიტის წინასწარი დაჯავშნისა, მომხმარებელს კოვიდინფექციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული მოთხოვნების მკაცრად დაცვა მოუწევს. მომხმარებელი, მომსახურების სივრცეში, თერმოსკრინინგის გავლის შემდეგ, მხოლოდ პირბადით დაიშვება, რომელიც შენობის დატოვებამდე წესების დაცვით უნდა ჰქონდეს სახეზე მორგებული. პრევენციის მიზნით, კვლავ შეზღუდული იქნება მომსახურების დარბაზში მცირეწლოვანი ბავშვებით და იმ თანმხლები პირებით შესვლა, რომლებიც არ წარმოადგენენ ამა თუ იმ სერვისის მონაწილე მხარეებს. მომხმარებლის ინტერესის გათვალისწინებით, წინასწარი დაჯავშნის გარეშე, მხოლოდ გარდაცვალების მოწმობის მიღება იქნება შესაძლებელი.

ამირან გამყრელიძე: საქართველო კვლავ მწვანე ზონაში რჩება

„ინციდენტობის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, ჩვენ დღეს გვაქვს 1,74 ასი ათას მოსახლეზე, ეს ნიშნავს, რომ საქართველო მწვანე ზონაში რჩება, თუმცა ბოლო 4-5 დღის განმავლობაში გვაქვს მატება, ამიტომ ყველამ ერთად უნდა შევაკაოთ ზრდის მაჩვენებლი. ქვეყანაში გაფართოებულია ტესტირების მაჩვენებელი, აგვისტოს საშუალო დღიური მაჩვენებლით გვქონდა 4 665, სექტემბერში — 7 961, მაგრამ 4 სექტებრიდან დღემდე საშუალო მაჩვენებელია 8 259“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ. მისივე თქმით, საერთაშორისო შედარებითობის მაჩვენებლით, საქართველო ისევ გამოიყურება ერთ-ერთ უსაფრთხო ქვეყნად.



„იმისთვის, რომ ეს მაჩვენებელი შევინარჩუნოთ, ამისთვის აუცილებელია თანამშრომლობა და ყველა იმ რეკომენდაციის დაცვა, რომელიც არის დაწესებული“, — აღნიშნა გამყრელიძემ.

სირცხვილია იმის ლაპარაკი, რომ კოვიდი მხოლოდ ავადმყოფებსა და მოხუცებს ერჩის

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი **გიორგი კეკელიძე** კორონავირუსის მიმართ საზოგადოების განსხვავებულ დამოკიდებულებაზე სოციალურ ქსელში წერს:

„კორონავირუსის თემაზე თვეებია, არაფერი დამიწერია. თავის დროზე, როცა პანდემია ფეხს იდგამდა და სახლში დარჩენით მისი შეკავება განმსაზღვრელად აუცილებელი იყო, არაერთხელ შეგეხმიანეთ და მცირე წვლილი ამ საქმეში, მგონი, მეც მიმიძღვის. ძალიან მცირე, ცხადია. მას მერე გადავწყვიტე, კოვიდზე აღარ მესაუბრა — შეუძლებელია საზოგადოებას გამუდმებით ველაპარაკო იმაზე, რაც ჩემი სფერო არ არის. ახლა, მგონი, დადგა დრო, ორიოდე სიტყვა მაინც გითხრათ. ბუნებრივია, მოკრძალებით და პატივისცემით:

კორონავირუსი არსებობს და ამის ფონზე რამდენიმე რამ არსებობს, ძალიან სამარცხვინო:

სირცხვილია იმის ლაპარაკი, რომ კოვიდი მხოლოდ ავადმყოფებსა და მოხუცებს ერჩის.

სირცხვილია იმ ხალხის გამუდმებული დაცინვა, რომელსაც ჰგონია, რომ კორონა არ არსებობს. ზოგს და უმეტესს, მავნე გამონაკლისების გარდა, უბრალოდ უნდა, რომ არ არსებობდეს — ეშინიათ შიმშილის, შიმშილით სიკვდილის. ეს შიში უპირატესია კორონაზე. თუ დავცინებთ, მათ დავცინოთ, ვინც ამ ხალხს ზოგიერთი „მეგობრის“ მიერ საგანგებოდ მომზადებულ ვიდეოკლიპებს აწვეთებს და წამლავს.

სირცხვილია უკვე დაავადებული ადამიანების ფოტოების ფრიალი — „აგერ ნახეთ, როგორ დგას და მანძილს არღვევს“ ან „გუშინ დავინახე, ხუთი კაცი გადაკოცნა“ თითქოს მე და შენც გუშინ არაერთხელ, ნებით თუ უნებლიეთ, არ დავარღვიეთ ეს წესი. სხვა მაგალითებითაც იოლად შეგვიძლია დისტანციისკენ მოწოდება. კორონავირუსი არსებობს და იარსებებს. უბრალოდ მას ადამიანი დაამარცხებს და დაიმორჩილებს. მალე, ძალიან მალე. გამოიყენეთ პირბადე დახურულ სივრცეში და დაიცავით მანძილი.მე მეტს ვერაფერს გეტყვით“, — წერს გიორგი კეკელიძე.

ახალი სახეები სუფთა ბიოგრაფიით მოსული ხალხია და მათკენ ხელის გაშვერა ასე ადვილად ვერ მოხდება!



ბიძინა ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს „ქართული ოცნება“ კვლავ მოიგებს. ივანიშვილი იმედებს, როგორც ჩანს, განახლებულ პარტიაზე ამყარებს. „ოცნების“ პირველი ოცეული უკვე ცნობილია და როგორც გამოჩნდა ამ არჩევნებზე მოქმედი დეპუტატების უმრავლესობა სიაში აღარ იქნება. რატომ გადაწყვიტა ივანიშვილმა, რომ გამოცდილი ძველი პოლიტიკოსები გამოუცდელი, მაგრამ პროფესიონალი კადრებით ჩაენაცვლებინა, ამის შესახებ არაფერი უთქვამს... უკვე ცნობილია, რომ თუ მმართველი გუნდი ისევ გაიმარჯვებს, მომავალი „პრემიერი“ კვლავ გიორგი გახარია იქნება, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე – ისევ არჩილ თალაკვაძე.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ პარტიის საარჩევნო სიის პირველი ოცეულის წარდგენამდე აუდიტორიას სიტყვით მიმართა. ბიძინა ივანიშვილმა მმართველი გუნდის ოპონენტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ისინი ხშირად ცდილობენ სიცრუის გავრცელებასა და ხალხში ნეგატივისა და უიმედობის დათესვას.

„ყველამ, ვისაც საქმე უკეთებია, იცის შრომის ფასი, იცის რა რთულია შედეგის მიღწევა. მარტივია, როდესაც მარტო შეფასება და კრიტიკაა შენი საქმე, არაფერზე პასუხისმგებლობა არ გაგაჩნია და ხშირად ტყუილსაც კადრულობ იმ იმედით, რომ ამაზე პასუხს არავინ მოგთხოვს. ხელისუფლებას გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები აქვს საკეთებელი, ვიდრე ცრუ ბრალდებებზე რეაგირებაა. საბედნიეროდ, ხალხი ბრძენია და ყველაფერს კარგად ხვდება და რაც მთავარია, საკუთარი თვალით ხედავს, როგორ მუშაობს „ქართული ოცნება“.

მე არაერთხელ მითქვამს და დღესაც გავიმეორებ – ჩვენ არ გვჩვევია გაკეთებულით თავმოწონება და ტრაბახი, საქმის კეთება მმართველი გუნდის პირდაპირი ვალდებულებაა და ჩვენ ამას უხმაუროდ ვაკეთებთ. მე მიხარია, რომ ყველა ამ სიკეთით, რომელიც ხალხისთვის კეთდება, სარგებლობენ მათ შორის ჩვენი კრიტიკოსები და სკეპტიკოსებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ამ სიკეთეების აღიარების უნარი არ გააჩნიათ. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ისევე წარმატებით მოვიგებთ ბრძოლას სიცრუესთან და ხალხში ნეგატივის, უიმედობის დათესვის მცდელობასთან, როგორც ვაჯობეთ ზოგადსაკაცობრიო გამოწვევას კრიზისის ყველაზე რთულ ეტაპზე“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ამბობს, რომ „ოცნების“ საარჩევნო სიაში შესაძლოა ნამდვილად ბევრი, როგორც პოლიტიკოსი, ახალი სახეა, თუმცა, მათ საჯარო სამსახურში მოღვაწეობის ძალიან კარგი გამოცდილება აქვთ. ანჯაფარიძე აცხადებს, რომ არის რამდენიმე კანდიდატი, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში დღესაც მოღვაწეობენ. მაგალითად თბილისის მერის მოადგილე **მაია ბითაძე** და ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ქვრივიშვილი. ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ სიაში წარმოდგენილ კანდიდატებზე, როგორც მომავალ პარლამენტარებზე ისე ვსაუბრობთ და არ არის გამორიცხული, რომ ისინი ძალიან კარგი და წარმატებული პოლიტიკოსები გახდნენ. ანჯაფარიძეს მიაჩნია, რომ ივანიშვილმა ახლა ძირითადი აქცენტი მაღალ პროფესიონალიზმზე გააკეთა და არა გამოცდილ პოლიტიკოსებზე.

„ოცნებამ“ 2016 წელსაც სცადა, თუ შეიძლება ექსპერიმენტი დავარქვათ, ახალი სახეების შემოყვანა. თუმცა, ამ ახალი სახეების უმეტესობა დღეს სად არის, ყველამ ვიცით. მათი უმრავლესობა „ოცნების“ ოპონენტები არიან, ხოლო ვინც ახლა ახალ სახეებად შეარჩიეს, ისინი უფრო ლოიალურები არიან, შემოწმებული და უფრო გამოცდილი სხვადასხვა საქმეებში. ამიტომაც „ოცნება“ მათგან ისეთ სიურპრიზებს არ უნდა ელოდოს, როგორც მაგალითად გოგიჩაიშვილისგან, ჩუგოშვილისგან და კობერიძისგან მიიღო, ე.წ. ახალი სახეებისგან, რომლებიც ბოლოს ოპოზიციაში გადავიდნენ.

ამ ხალხის მთავარი ღირსება ის არის, რომ „ახალ სახეებს“ სუფთა ბიოგრაფია აქვთ. მათი წარსული ისეთი ეპიზოდებით არ არის დამძიმებული, როგორითაც მაგალითად ოპოზიციური ლიდერების. როგორ წარმოაჩენენ ეს ადამიანები შემდეგ, როგორც პოლიტიკოსები თავს, ამას უკვე მათი მუშაობიდან გამომდინარე ვნახავთ“, – ამბობს ზაალ ანჯაფარიძე.

მისივე თქმით, ბევრი რამე იმაზე იქნება დამოკიდებული, ამ კანდიდატებს დამოუკიდებლად პოლიტიკური მოქმედების საშუალება რამდენად მიეცემათ. ისინი პარტიული დისციპლინით შეზღუდულები იქნებიან, მაგრამ არის გარკვეული საკითხები, სადაც პოლიტიკოსს მოქმედების თავისუფლება უნდა ჰქონდეს.

„დიდი ალბათობით, „ოცნება“ ამ არჩევნებს მოიგებს, თუ რამე ფატალური შეცდომა არ დაუშვა. ეს ადამიანები მთავარია თავის თანამდებობებზე ქმედითუნარიანები იყვნენ და საკუთარი პოტენციალი მაქსიმალურად გამოავლინონ. მთავარია, მხოლოდ პულტებზე თითების დამჭერებად არ გადაიქცნენ.

ასევე არც ის არის გასაკვირი, ალბათ, რომ კანდიდატების დიდ ნაწილს განათლება დასავლეთში აქვს მიღებული. ივანიშვილმა, როგორც 2016 წელს, პარტნიორებს სიგნალი გაუგზავნა და პირველ ოცეულში ენჯეოდან წამოსული რამდენიმე კანდიდატი ჩაწერა. იმ ხალხს, ვინც ახალ სახეებად ვიხილეთ, არც მენტალური და არც მეხსიერული კავშირი საბჭოთა კავშირთან არ აქვთ. მათ ბექგრაუნდზე არავის შეუძლია თქვას, რომ ეს ხალხი პრორუსული ძალაა. როგორც ჩანს, ესეც ერთ-ერთი გათვლაა, რომ ვინმემ პარტიას არ წამოაძახოს, პირველ ოცეულში საბჭოური წარსულის ადამიანები დაასახელეო“, – ამბობს ანჯაფარიძე.

ანალიტიკოს **ნიკა ჩიტიძეს** კი მიაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილი კანდიდატების წარმოდგენისას გარკვეული სახის გათვლებს აკეთებს. ანალიტიკოსი აცხადებს, რომ ის პირადად იცნობს **გიორგი ხელაშვილს** და **ნიკა სამხარაძეს**. ისინი მისი კოლეგები და საერთაშორისო მიმართულებით ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტები არიან. ჩიტიძე ვარაუდობს, რომ ივანიშვილმა გათვლა რამდენიმე მიმართულებით გააკეთა. პირველი – ის საზოგადოებას და ოპონენტებს აჩვენებს, ის ხალხი, რომლებიც პარლამენტში თავის მოვალეობებს ვერ ასრულებდნენ, შეცვალა. მეორე – ახალი სახეებისკენ ხელს ვერავინ გაიშვერს და მის პოლიტიკურ წარსულზე ვერავინ ისაუბრებს. მესამე გათვლა კი პროდასავლურ ძალებზეა გაკეთებული. ივანიშვილი ოპონენტებსაც და პარტნიორებსაც აჩვენებს, რომ „ოცნება“ პრორუსული ძალა არ არის და სიაში კანდიდატებად დასავლეთში განათლებამიღებული ადამიანები ჰყავს.

„ახალი სისხლის გადასხმა და პარტიის განახლება გასაკვირი არ არის. ზოგადად, ასეთი ტენდენცია აქვს ივანიშვილს, რომ როგორც პრემიერებს ცვლის, ასევე აკეთებს პარლამენტში დეპუტატებთან დაკავშირებითაც. თუ დავაკვირდებით, მან ოდიოზური ფიგურები, რომლებმაც საზოგადოებაში გარკვეული აგრესია გამოიწვია, პირველ ოცეულში არ დაასახელა. მოსახლეობას აჩვენებს, რომ ვინც საქმე არ გააკეთა, ის პარლამენტის მიღმა დარჩება. ასევე ახალ სახეებს წარსული დანაშაულები არ აქვთ, სუფთა ბიოგრაფიით მოსული ხალხია და ამიტომაც მათკენ ხელის გაშვერა ასე ადვილად ვერ მოხდება. რამდენიმე კანდიდატს ვიცნობ და მათი პროფესიონალიზმის შესახებ ძალიან კარგად ვიცი, ამიტომაც მგონია, რომ მათი შერჩევაც საგარეო კურსზე ყბადაღებული თემის გამოც მოხდა. ივანიშვილი ამით იმასაც ამტკიცებს, რომ მისი პარტიის საგარეო კურსი უცვლელია“, – ამბობს ნიკა ჩიტიძე.

ლიკა ბერიკაშვილი

ახალი გამოკითხვის შედეგები

56,3% – „ქართულ ოცნებას“, 11,9% – ნაციონალებს, „პატრიოტთა ალიანსს“ კი – 7,1%. ამ გამოკითხვებს ტელეკომპანია „იმედი“ ავრცელებს.

ამ გამოკითხვის თანახმად, ჯამში მოქალაქეთა 1615 რესპონდენტი გამოიკითხა, რომელთა უმეტესობამაც მმართველი გუნდი „ქართული ოცნება“ ამოირჩია.

„ქართული ოცნება“	– 56,3%;
„ნაციონალური მოძრაობა“	– 11,9%;
„პატრიოტთა ალიანსი“	– 7,1%;
„ევროპული საქართველო“	– 3,5%;
„სტრატეგია აღმაშენებელი“	– 3,3%;
„ლეიბორისტული პარტია“	– 2,9%;
„ლელო საქართველოსთვის“	– 2,7%;
არც ერთი	– 4,5%.

გასამაჟორიტარებელთა სიმღერა

ოცნება ფიქრებს მიფორიაქებს,
რია-რიაა გასაკვირველი, –
ბუქნა-დოღია არჩევნების და
ამ დოღში მსურს, რომ ვიყო პირველი.
სალამურივით აგიკვნესდებით,
სიმებს მოვმართავ, ვითარც გიტარა,
ყოფას, დარჩენილს, გიქცევთ სამოთხედ,
თუკი ამირჩევთ მაჟორიტარად!

ვაჟა დანელია

ᲑᲐᲠᲔᲛᲝᲡ **დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ სათაფლიაში ახალი ეკო-საგანმანათლებლო ბილიკი მოეწყო. ოთხკილომეტრიანი ბილიკი მარტივი საფეხმავლოა, მარკირებულია და მის გასწვრივ დამონტაჟებულია საინფორმაციო დაფები, — ამის შესახებ ინფორმაციას დაცული ტერიტორიების სააგენტო ავრცელებს.**

მათივე ინფორმაციით, ლაშქრობისას სპეციალურად მოწყობილი პანორამული გადასახედიდან შესაძლებელია მდინარე რიონისა და ხვამლის მთის ულამაზესი პეიზაჟებით ტკბობა,.

სათაფლიაში ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად 100 000 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა.

სათაფლია საერთაშორისოდ ცნობილი და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დაცული ტერიტორიაა, 120 მილიონი წლის წინანდელი დინოზავრების ნაკვალევით. დინოზავრების ნაკვალევის მონახულების გარდა, ახლა სათაფლია კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესო ხდება ლაშქრობის მოყვარულთათვის. მანამდე არსებულ 2 მარტივ საფეხმავლო ბილიკს კიდევ 1 დაემატა და მათი საერთო სიგრძე თითქმის 7 კილომეტრია. ბილიკებზე მოგზაურობისას აღმოჩნდებით უძველეს კოლხურ ტყეებში, იხილავთ ბუნების იშვიათ წარმომადგენლებს და დატკბებით იმერეთის საოცარი ხედებით.

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲕᲔᲚᲝᲑᲘᲚᲘᲙᲘ ᲛᲗᲘᲐᲜ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ

ᲛᲗᲘᲐᲜ **აჭარაში პროფესიონალი და მოყვარული ველოსიპედისტებისთვის ახალი ველობილიკი მოეწყობა. 6 კილომეტრიან ველომარშრუტზე, რომელიც შუახევსა და ქედას ერთმანეთთან დააკავშირებს, მარტივ საველოსიპედე ბილიკთან ერთად ე.წ.** Down Hill-ის, **ექსტრემალური დაშვების ბილიკის ინფრასტრუქტურის მოწყობა იგეგმება. სათავგადასავლო და სპორტული ტურიზმის განვითარების მიზნით მსგავსი ტიპის ექსტრემალური საველოსიპედე ინფრასტრუქტურა რეგიონში პირველად იქმნება. პროექტის განხორციელებას აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო ორგანიზაცია** CENN-**თან ერთად, ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით გეგმავს. საველოსიპედე ბილიკის დაპროექტება და სამშენებლო სამუშაობის შესასყიდად დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე ტენდერი გამოცხადდება.**

ახალ ველომარშრუტზე მოსასვენებელი და რეკრეაციული სივრცეები, ველო და ავტოპარკინგი, წყლის პუნქტები, საპირფარეშოები, ასევე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ველო ბილიკისადმი ადაპტირებული ინვენტარის ინსტალაცია იგეგმება. ველობილიკი ძირითადად ტყის ტერიტორიაზე გაივლის, რომელიც ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა. ბილიკზევე მდებარეობს რეგიონში ერთ-ერთი გამორჩეული ისტორიული ძეგლი კავიანის ციხე. მარშრუტი ასევე, შეიძენს ეკო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დატვირთვას. შესაძლებელია, მარშრუტის მიმდებარე ტერიტორიებზე განხორციელდეს სამეცნიერო-ტურისტული ექსპედიციები და ლაშქრობები.

ᲛᲔᲓᲘᲐᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲛ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲙᲚᲐᲡᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲐᲛᲑᲘᲡ **თხრობა, ინტერვიუს მომზადება, კითხვის დასმის ტექნიკა, ფოტოამბის გადაღება, გადასაღებ მოედანზე და სტუდიაში მუშაობა — მედიააკადემიამ ჟურნალისტიკით დაინტერესებული ადამიანებისთვის პირველი ონლაინ მასტერკლასი დაიწყო.**

მედიააკადემიის ინფორმაციით, ეს არის ექსკლუზიური პროექტი ქართულ მედიასივრცეში, მათთვის, ვისაც ჟურნალისტიკა აინტერესებს, ვინც ამ პროფესიაზე ფიქრობს, ან უბრალოდ უნდა გაიგოს, როგორ იქმნება მედიაპროდუქტი.

მედიააკადემია დაინტერესებულ პირებს სრულიად უფასოდ აძლევს შესაძლებლობას, წარმატებული და პროფესიონალი ავტორებისგან ონლაინ ლექციებით ისწავლონ ყველაფერი, რაც ზოგადად მედიას, მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტის მომზადებასა და პროფესიონალ ჟურნალისტს სჭირდება.

ჟურნალისტი ეკა ბერიძე, დრამატურგი ბასა ჯანიკაშვილი, ჟურნალისტი თამთა სანიკიძე და ფოტორეპორტიორი დავით მძინარიშვილი მაყურებელს გაუზიარებენ მრავალწლიან გამოცდილებას და შესთავაზებენ ექსკლუზიურ სალექციო კურსებს, რასაც სხვაგან ვერ ნახავთ. მასტერკლასის თითოეული ონლაინ კურსი შედგება 10-მდე ვიდეოლექციისგან, თითო ლექცია კი მაქსიმუმ 10-12 წუთს გრძელდება.

ონლაინ მასტერკლასი ახალი ავტორებით მომავალშიც გაგრძელდება, მედიააკადემიას დაგეგმილი აქვს არა ერთი საინტერესო ავტორის მიწვევა, რათა კურსი იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო ფართო აუდიტორიისთვის.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

„ᲡᲐᲑᲐᲡ“ 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ!

ᲬᲔᲚᲡ **ლიტერატურულმა პრემიამ „საბა“ კონკურსი მეთვრამეტედ გამოაცხადა. წლევანდელი ფინალისტების სია უკვე ცნობილია 7 ნომინაციაში. „უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანის“ ნომინაციის ფინალისტები მოგვიანებით, ოქტომბერში გასაჯაროვდება, ხოლო ნომინაციაში „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“ — გამარჯვებული, ტრადიციულად, უშუალოდ დაჯილდოების ცერემონიაზე გახდება ცნობილი.**

2020 წელს საუკეთესო წიგნებსა და ავტორებს ჟიური 9 ნომინაციაში გამოავლენს:

1. საუკეთესო **რომანი;**
2. საუკეთესო **პოეტური კრებული;**
3. საუკეთესო **პროზაული კრებული;**
4. საუკეთესო **პიესა;**
5. საუკეთესო ლიტერატურული **კრიტიკა;**
6. საუკეთესო ლიტერატურული **დებიუტი;**
7. საუკეთესო **ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა;**
8. უცხოური ნაწარმოების საუკეთესო **ქართული თარგმანი;**
9. ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი **განსაკუთრებული წვლილი.**

ლიტერატურული კონკურსი „საბა“ „თიბისიმ“ და პოეტმა რატი ამაღლობელმა 2002 წელს დააფუძნეს. უკვე წლებია, ის ყველაზე ავტორიტეტული პრემიაა ლიტერატურის დარგში. დაარსების დღიდან „საბამ“ არაერთი მწერლის ნაწარმოები და ღვაწლი შეაფასა, კერძოდ 4000-ზე მეტი წიგნი განიხილა, 162 პრემია გასცა და 128 ავტორი დააჯილდოვა (მათგან 17 ავტორი დაჯილდოვდა მინიმუმ 2-ჯერ და მეტჯერ).

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ „ᲡᲐᲑᲐᲡ“ 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ:

ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ:

1. ბესო სოლომანაშვილი, „ამბავი ძველი დახვრეტილებისა და ახალი დასახვრეტებისა“ (სულაკაურის გამომცემლობა);
2. ანა კორძაია-სამადაშვილი, „ზინკა ადამიანი“ (სულაკაურის გამომცემლობა);
3. ლაშა ბუღაძე, „აუდიტორია“ (სულაკაურის გამომცემლობა);
4. აკა მორჩილაძე, „ფარშავანგი“ (სულაკაურის გამომცემლობა);
5. ალეკო შუღლაძე, „ქრონიკული დაღლილობის სურნელი“ (პალიტრა L).

ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲠᲝᲖᲐᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ:

1. მამუკა დოლიძე, „გასეირნება დროთა სივრცეში“ (ინტელექტი);
2. ვახტანგ კომახიძე, „გაქცევის ტყვეობა“ (საარი);
3. ლექსო პაიკიძე, „გიდი“ (ბენდესი);
4. ეკა ქევანიშვილი, „არაფერი დეჩემის შესახებ“ (წიგნები ბათუმში).

ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ:

1. კატო ჯავახიშვილი, „დედაჩემმა მითხრა, რომ“ (ინტელექტი);
2. შოთა იათაშვილი, „XXI საუკუნის დასაწყისის პოეტი“ (ინტელექტი);
3. ბესიკ ხარანაული, „დიდი სმა“ (ინტელექტი);
4. ტარიელ ჭანტურია, „სიყვარულის შავი ყუთი 3“ (კალმოსანი);
5. ნატო ინგოროყვა, „სადგურებს შორის“ (ინტელექტი).

ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲔᲡᲔᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲖᲐ:

1. შორენა ლებანიძე, „თუ საჭიროა გათქმევინებთ“ (არტანუჯი);
2. ნათია ფანჯიკიძე, „შიშო, გამოდი გარეთ“ (არტანუჯი);
3. გიორგი მაისურაძე, „სხვა ენა“ (ინდიგო);
4. გურამ წიბახაშვილი, „ზამთარი გადატანილია“ (ინდიგო);
5. გელა ჩარკვიანი, „ნაგერალა 80“ (ინტელექტი);
6. თემურ ტონია, „ვინილომაგია -ვინილომანია“ (პალიტრა L);
7. კახა თოლორდავა, „გაუზავებლად“ (სულაკაურის გამომცემლობა);
8. სალომე აფხაზიშვილი, „სოციალური სიცილი“ (სულაკაურის გამომცემლობა).

ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ:

1. მაია ცირამუა, „მშვიდობით, ძია გერშვინ!“ (წიგნები ბათუმში);
2. ელისო ფანცხავა, პოლ ოსტერის „4 3 2 1“ (წიგნები ბათუმში);
3. მართა ურუშაძე, „მეხამრიდი“ (ინტელექტი);
4. ნინი ელიაშვილი, „წერტილის შემდეგ“ (ინტელექტი);
5. მაკა ცხვედიანი, „გასტონის კრეპერია“ (ინტელექტი);
6. არჩილ ფირიაშვილი, „ფეხბურთის მოთამაშე“ (პალიტრა L).

ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ:

1. გურამ ლებანიძე, „რილკეს ელეგიები“ (კავკასიური სახლი);
2. რამაზ ჭილაია, „პოეტიკური ჩანაწერები“ (პალიტრა L);
3. ზაზა აბზიანიძე, „ქართულ ოლიმპზე და მის ირგვლივ“ (ინტელექტი).

ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲘᲔᲡᲐ:

1. დავით ფირცხალავა, „დიდი შესვენება“, თემურ ჩხეიძის სახელოსნო (სამეფო უბნის თეატრი);
2. ალექს ჩიღვინაძე, „მარინა რევია“, თემურ ჩხეიძის სახელოსნო (სამეფო უბნის თეატრი);
3. მაკა კუკულავა, „მეორე ნახევარი“, თემურ ჩხეიძის სახელოსნო (სამეფო უბნის თეატრი).

მიჰა – ჩამქრალი შუქურა!

„ამერიკელებმა უნდა იცოდნენ, რომ მარტო ნეოლიბერტარიანიზმის მომხრეებით არ არის განთქმული საქართველო. ამიტომაც ჩვენ პროდასავლური, ატლანტისტური, აშშ-ის მხარდამჭერი გაერთიანება დავაფუძნეთ“, – აცხადებს ანალიტიკოსი ვახტანგ მაისაია.

ამერიკა – ამერიკელებისთვის!

– თქვენ დონალდ ტრამპის მხარდამჭერებს შორის მოიაზრებით, რომელთა მიზანიცაა ფსევდოლიბერალურ ძალებთან დაპირისპირება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფსევდოლიბერალური და ტრადიციული ღირებულებების მომხრეებს შორის ბრძოლა ამერიკის გარდა საქართველოშიც მიმდინარეობს, როგორ ფიქრობთ, რა გზა ელის მსოფლიოს ღირებულებითი თვალსაზრისით?

– საქართველოში დაფუძნდა დონალდ ტრამპის მხარდამჭერი საზოგადოებრივი მოძრაობა **„ჩვენ ვართ“** (WE ARE). ამ მოძრაობაში მეც გავწევრიანდი ჩემს მეგობრებთან ერთად. თანაც, დონალდ ტრამპის მომხრე გახლავართ, ჯერ კიდევ 2016 წლის სექტემბრის დასაწყისში საქართველოში პირველმა ვთქვი თოქ-შოუში, რომ ტრამპი გაიმარჯვებდა არჩევნებში. იმ პერიოდში ყველას გაუკვირდა, მაგრამ მართლაც გაიმარჯვა.

– რა უპირატესობა აქვს ტრამპს, მას საკმაოდ რთული პერიოდი შეხვდა კორონაპანდემიის სახით, რის გამოც ჯო ბაიდენის მომხრეები ტრამპს ამერიკის ეკონომიკის ჩამოქცევასა და მწვავე ეროვნულ კრიზისში ადანაშაულებენ. რა პერსპექტივა აქვს ტრამპს და როგორ გაუმკლავდა არსებულ გამოწვევებს?

– დონალდ ტრამპი წარმატებით გაუმკლავდა ამ პერიოდს, ფაქტობრივად, ამერიკა გამოიყვანა იმ ეკონომიკური კრიზისიდან, რომელშიც „დემოკრატიულმა პარტიამ“ ჩააგდო, ყოველ შემთხვევაში, მისმა ნეოლიბერალურმა ჯგუფმა, როდესაც ისინი იყვნენ ობამას მმართველობის ბოლო პერიოდში. ტრამპმა ქვეყნის ეკონომიკა 12%-მდე გაზარდა, შეამცირა უმუშევრობა, შექმნა 2 მილიონი სამუშაო ადგილი, შეიმუშავა ლოზუნგი „ამერიკა ამერიკისთვის“, მოახდინა ამერიკის ეროვნული კომპანიების და ტრანსნაციონალური კორპორაციების სრული მხარდაჭერა, მიჰყვა პროტექციონიზმის პოლიტიკას, ანუ აღადგინა ამერიკაში პროტექციონისტული მიმართულება, შეამცირა სამხედრო ხარჯები. ეს ხარჯები მან უფრო გადაიტანა ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით, ანუ ამერიკის სამხედრო სამრეწველო კომპლექსის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, მოახდინა ეკონომიკის სტიმულირება, საკუთარ ხალხს დაჰპირდა, რომ გამოიყვანდა ჯარებს ავღანეთიდან და ფაქტობრივად, ეს პირობა შეასრულა. განახორციელა ე.წ. სელექციური, შერჩევითი ჩარევის პრინციპი, ანუ ამერიკის გლობალური დომინანტობის პირობები შეამცირა, რამაც ამერიკას განვითარების საშუალება მისცა კონკრეტული მიმართულებით. ეს ნიშნავს, რომ ამერიკას უნდა მიეხედა საკუთარი ეკონომიკის კეთილდღეობისთვის, სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვის.

– თუმცა, დონალდ ტრამპმა ისრები გადაიტანა ჩინეთისკენ და რუსეთის მიმართ სიმკაცრე უფრო ნაკლებად გამოხატა.

– ეს ყველაფერი გამოწვეული იყო სწორედ ამერიკის ნაციონალური აღორძინების პოლიტიკით. მან შეზღუდა ამერიკაში ჩინური ეკონომიკური ექსპანსია, რაც გამოწვეულია საერთაშორისო ლიბერალური სავაჭრო რეჟიმით. ეს რეჟიმი მან შეამცირა, ეჭვქვეშ დააყენა ისეთი ხელშეკრულება, როგორიცაა **„ნაფტა“-მექსიკა,** ამერიკისა და კანადის ხელშეკრულება, რაც საყურადღებო პოლიტიკური კურსია. გარკვეულწილად, სავაჭრო ომი გამოუცხადა ევროკავშირსაც, ნატოს წევრ სახელმწიფოებსაც დაუწესა მკაცრი პრესინგი, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მხოლოდ ამერიკის კმაყოფაზე არ ყოფილიყო და მოკავშირეებს თანაბრად გაეწიათ ხარჯები საერთო კოლექტიური თავდაცვის გასაძლიერებლად. ტრამპმა ამისთვის მოითხოვა, ყველა ქვეყანას გამოეყო თავდაცვის ხარჯებისათვის 2%, რაც ადრე არ კეთდებოდა. მაგალითად, გერმანია ხარჯავდა 0,9%-ს, ახლა მან ასწია ეს მაჩვენებელი 1,3%-ზე, ესეც ცოტაა, მაგრამ პროგრესი აშკარაა! ნატოს წევრმა სხვა სახელმწიფოებმაც გაზარდეს მაჩვენებელი, პოლონეთი უახლოვდება ამ სტანდარტებს, ასევე, საფრანგეთი და ბრიტანეთი. სამწუხაროდ, დანარჩენი ქვეყნები ასეთი მისწრაფებით არ გამოირჩევიან.

ტრამპის მხარდამჭერი ორგანიზაციის მიზანია, ამერიკელებს დაანახოს ქართული ნაციზმის და ლიბერტარიანიზმის ნამდვილი სახე...



– რამდენად პრინციპული აღმოჩნდა რუსეთის მიმართ? თავისი პრეზიდენტობის გარიჟრაჟზე ტრამპი ამბობდა, პუტინი ობამაზე კარგი ლიდერია, ის კარგი კონკურენტია და, ამ შემთხვევაში, სიტყვა „კონკურენტი“ პუტინისთვის კომპლიმენტიაო.

– ტრამპს რუსეთთან საკმაოდ მკაცრი დამოკიდებულება ჰქონდა, მან უარი განაცხადა სტრატეგიული შეიარაღების ხელმოწერაზე, ამასთან, ღირსეული კონკურენცია გაუწია რუსეთს ბირთვული რბოლის განვითარების საქმეში. მის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა სანქციური პოლიტიკა რუსეთის მიმართ და რუსეთის ეკონომიკას სერიოზულად დაეტყო ამერიკის მხრიდან განხორციელებული სანქციები. რუსეთის ეკონომიკა თანდათან ჩინეთის ეკონომიკას ებმებოდა და ამ კუთხიდანაც მოახდინა ტრამპმა რუსეთზე დარტყმა!

– ჩვენ გვახსოვს არცთუ სასიამოვნო განცხადებები, რომ ტრამპი რუკაზე საქართველოსაც ვერ იპოვიდა. დღეს თუ იპოვის საქართველოს და რა გაკეთდა საქართველოსთვის მისი ადმინისტრაციის დროს?

– სხვათა შორის, საქართველოსთვის ბევრი რამ გაკეთდა, ტრამპი-საქართველოს დღის წესრიგი პირდაპირ აისახა ამერიკის საგარეო პოლიტიკურ რუკაზე. შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკის კონგრესმენები ყოველ წამს საქართველოს შესახებ გამოხატავენ თავიანთ პოზიციას, ზოგჯერ შეიძლება პოზიტიურს, ზოგჯერ ნეგატიურს. წინა ადმინისტრაციის პირობებში საქართველოს საკითხი კონგრესში იხილებოდა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში, ადამიანის უფლებების დარღვევისას სააკაშვილის ხელში, ახლა კი საქართველო შევიდა ამერიკის კონტინენტზე, ამერიკაში ქართული ტურიზმის პოტენციალი გაიზარდა, ასევე, გაიზარდა ეკონომიკური ექსპორტის რაოდენობა ამერიკის მიმართულებით. მართალია, არ არის ისეთი დონის ინვესტიციები, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ პოლიტიკური და უსაფრთხოების ინვესტიციები ბევრად უფრო სოლიდურია. იზრდება ამერიკის დახმარება ჩვენი მასმედიის, აკადემიური კვლევის მიმართულებით. რაც ყველაზე საინტერესოა, სააკაშვილს ჩამოეხსნა ნამდვილი სახე ამერიკაში სწორედ ტრამპის პერიოდში. საქართველო-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობამ მიიღო საკმაოდ ინტენსიური ხასიათი, ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ინტენსიური სამხედრო სწავლებები, გაძლიერდა შავი ზღვის აუზის მიმართულებით ამერიკელთა ინტერესი, უკრაინას და საქართველოს გამოეყო სპეციალური მიზნობრივი სამხედრო ხარჯები, უკრაინისთვის საუბარია 300-დან 400 მილიონ დოლარზე, ჩვენთან ეს არის 100-დან 150 მილიონი დოლარი. გარდა ამისა, ტრამპის პერიოდში ანაკლიის პორტის განვითარებას მიეცა ახალი განზომილება, მართალია, ეს პროექტი გარკვეულ მიზეზთა გამო ჩაშლის პირასაა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ტრამპმა წამოსწია ეს საკითხი. კიდევ ერთი მომენტია საქართველოს დახმარება კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. მით უმეტეს, სულ ახლახანს რუსებმა მოახდინეს კიბერთავდასხმა ლუგარის ლაბორატორიასა და ჯანდაცვის სამინისტროზე. მეოთხე მომენტია, რომ, როგორც იქნა, ამერიკის ელჩი დაინიშნა საქართველოში, რაც სერიოზული სტიმული იყო დემოკრატიული პროცესების განსახორციელებლად.

მინდა, მადლობა გადავუხადო ქალბატონ ხათუნა ხოფერიას, ირაკლი გოგავას და სხვა ადამიანებს, რომელთაც დააფუძნეს პროდასავლური ატლანტისტური აშშ-ის მხარდამჭერი გაერთიანება „ჩვენ ვართ“. ამერიკელებმა უნდა იცოდნენ, რომ მარტო ნეოლიბერტარიანიზმის მომხრეებით არ არის განთქმული საქართველო, ჯო ბაიდენის, „დემოკრატიული პარტიის“ და, გარკვეულწილად, „რესპუბლიკური პარტიის“ ნეოკონებით არ განისაზღვრება მხარდაჭერა, ეს კრამერები იქნება, დიკ ჩეინები, თუ მაკკეინისტები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის აპოლოგეტები იყვნენ.

– სხვათა შორის, ყველას გვახსოვს, კობა სუბელიანი მაკკეინის სანომრე ნიშნით დაქროდა, მაკკეინის კამპანიის მხარდაჭერისას.

– დიახ, ამან ცუდი შედეგები მოიტანა, მაკკეინი ყველაზე ნაძირალა დიქტატორის პინოჩეტის მეგობარიც იყო, რომელმაც სისხლში ჩაახშო ჩილე, ათი მილიონი ადამიანი ჰყავდა რეპრესირებული, აქედან 2 მილიონი დაიღუპა და 12 ათასი უცხოელია დაღუპული პინოჩეტის მიერ.

პინოჩეტის ფანები იყვნენ მიხეილ სააკაშვილი და გიგა ბოკერია. ცხადია, ამერიკის დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარტიებში არიან ნაციონალისტურ-ტრადიციონალისტური ორიენტაციის დაჯგუფებები, მარტო მთლად რესპუბლიკურ პარტიაში არ არიან ულტრანაციონალისტები, ტრამპსაც ჰყავს თავისი დასაყრდენი დემოკრატიულ პარტიაში ულტრანაციონალისტებისა და ნაციონალისტების სახით. ტრამპი სწორედ ნაციონალისტური მიმდინარეობის დაჯგუფებას წარმოადგენს და ჩვენთვის ეს არის რეალური მხარდამჭერი. ის იზიარებს ოჯახის ფასეულობებს, ეროვნულ სულისკვეთებას, ტრადიციულ კონსერვატიულ ღირებულებებს, ადათების პატივისცემას. ამერიკის ადმინისტრაცია სწორედ ტრადიციონალისტებისგანაა დაკომპლექტებული და მას კონგრესში ებრძვის ნეოკონების და ნეოლიბერტარიანისტების მთელი დაჯგუფება, ჯო ბაიდენის მეთაურობით, რომელიც უპირისპირდება ტრამპის ტრადიციონალისტურ დაჯგუფებას. მე მხარს ვუჭერ ტრამპის ადმინისტრაციას ნეოლიბერტარიანელებისა და ნეოკონების წინააღმდეგ, რადგან ჩვენს თავზე გამოვცადეთ, რა არის ნეოლიბერტარიანელების დიქტატურა. ეს არის რადიკალური ლიბერალური ტიპის ტოტალური იდეოლოგია, როგორც თავის დროზე წამოვიდა ბოლშევიზმი, კომუნიზმი და ფაშიზმი. **მიშა და ბოკერია – ეს არის ნეოლიბერტარიანელების კასტა, ასევეა „ნაცმოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და მათ ირგვლივ გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების კამარილია.**

– ტრამპამდე მიაღწევს ის ინფორმაცია, რომ ქართველები მხარს უჭერთ მის ადმინისტრაციას?

– რა თქმა უნდა, ტრამპს ძალიან მოსწონს და ყველანაირად მხარს უჭერს ასეთი ტიპის გაერთიანებებს, ეს იქნება პოზიტიური ლობიზმი და არა ერთუჯრედიანი გიორგი კანდელაკის ლობიზმი „ევროპული საქართველოდან“, რომლებიც ნეგატიურ ლობიზმს ახორციელებენ საქართველოს სახელმწიფოსა და დღევანდელი მმართველი ძალის წინააღმდეგ. ელემენტარულად, ჩვენი სიმართლე უნდა გავიტანოთ და ამერიკელებს ვანახოთ ეს სიმართლე. ამერიკაში არ იციან რეალობა, ისევე, როგორც ევროპაში. პოლონეთში ჩავიტანეთ გოგა ხაინდრავას ცნობილი ფილმები „დემოკრატიის შუქურა“, „ჰეროკრატია“, ასევე, დოკუმენტური ქეისები ჩავიტანეთ... უშუალოდ „სოლიდარნოსტის“ მშობელ ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებში მივიტანე სიმართლე. ცნობილი საქმე იყო გიორგი გოგლიჩიძის ამბავი, საღ-სალამათი ადამიანი ნაცებმა დაიჭირეს, ციხეში ჩააგდეს და იქიდან გამოუშვეს ინვალიდის ეტლით. ამის შემდეგ ვარშავის უნივერსიტეტიდან გამოაბუნძულეს სააკაშვილი, ლექცია ჩავუშალეთ ამის გამო. სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილი მეძებდა, სად არის მაისაია, მან მოიწყო ობსტრუქციაო. შემიძლია, გამოვუტყდე მიხეილ სააკაშვილს, მეც მივიღე ამაში მონაწილეობა, რამდენიმე დღით ადრე ვარშავაში ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის ეგიდით ვარშავის პრეს-კლუბში ჩავატარე სერიოზული დახურული შეხვედრა, სადაც დეტალურად მოვყევი სააკაშვილის სადისტობა. „სოლიდარნოსტის“ გაზეთში დაიბეჭდა ბევრი სტატია მისი ავტორიტარული რეჟიმის შესახებ, რამდენიმე გადაცემაც მიეძღვნა, დოკუმენტური ფილმიც გამოვიდა. პოლონეთის მაგალითი ნიშნავს, როგორ შეიძლება ამერიკაშიც გავიტანოთ ჩვენი სიმართლე. **პოლონელები მიშაზე აფანატეგდნენ და დემოკრატიის შუქურა ეგონათ, ჩვენ კი დავანახეთ, რომ მიშა იყო დემოკრატიის ანტიშუქურა. ასე რომ, ჩვენი ახლანდელი ორგანიზაციის მიზანია, ამერიკელებს დავანახოთ ქართული ნაციზმის და ლიბერტარიანიზმის რეალური სახე, რაც ამერიკაშიცაა, რადგან ამერიკელი ნეოლიბერტარიანიზმის მიმდევრებიც ცდილობენ სამოქალაქო ომის გაჩაღებას.**

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ახალი სასწავლო წელი მსოფლიოს ქვეყნებში

კორონავირუსმა სასკოლო ცხოვრებაში თავისი კორექტივები შეიტანა. ისევე როგორც საქართველოში, სხვა ქვეყნებშიც სასწავლო წელი ახალი წესებით იწყება. საინტერესოა, რა წესები მოქმედებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სკოლებში?

იაპონია

იაპონიაში სასწავლო წელი აპრილში დაიწყო. ქვეყანაში დისტანციურად სწავლება ჯერ კიდევ მაისის ბოლოს, საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ შეწყვიტეს. დისტანციური სწავლების პერიოდი, რომელიც რამდენიმე თვე გაგრძელდა, დიდი დარტყმა აღმოჩნდა დასაქმებული მშობლებისთვის. ბევრს აუნაზღაურებადი შვებულების აღება მოუწია, რაც ოჯახების კეთილდღეობაზე ნეგატიურად აისახა.

აგვისტოში იაპონელ ბავშვებს მოკლე არდადეგები ჰქონდათ და ახლა მერხებს უბრუნდებიან. ჩვეულებრივ ასეთ დროს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა საზეიმო მიღება იმართება. მაგრამ ამჯერად, მასწავლებლებმა ტრადიცია დაარღვიეს და პრიორიტეტი ჯანმრთელობას მიანიჭეს. მაგალითად საიტამის პრეფექტურის ერთ-ერთ სკოლაში დირექტორმა მოსწავლეებს ტელეეკრანებიდან მიმართა. ბავშვები მისი გამოსვლის ჩანაწერს აუდიტორიებში უყურებდნენ. იაპონელი მოსწავლეები სკოლაში პირბადეებით დადიან. ყველაზე ცხელ დღეებშიც კი ბავშვებს აკრძალული აქვთ ნიღბის მოხსნა. სკოლაში შესვლისას ბავშვებს სიცხეს უზომავენ. მშობლები, თავის მხრივ, ყოველდღიურად სპეციალურ ანკეტებს ავსებენ, სადაც შვილების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ წერენ. დისტანცია მერხებს შორის კორონავირუსის გამო გაზარდეს. იაპონელმა დედებმა და მამებმა კი შვებით ამოისუნთქეს ისინი მშობელთა კრებებში მონაწილეობისგან დროებით გაათავისუფლეს.

იტალია

იტალიის მთავრობა არ აპირებს 14 სექტემბერს დაგეგმილი სასწავლო პროცესის აღდგენის თარიღის გადადებას. ამის შესახებ ქვეყნის განათლების მინისტრმა განაცხადა.

იტალიის განათლების სამინისტრო რეგიონებთან ერთად სკოლებისთვის ექსპრეს-ტესტების ჩაშვების შესაძლებლობას განიხილავს. კვლევა „ეჭვის გაჩენის დროს“ ჩატარდება. ამასთან, როგორც გაზეთი Corriere della Sera განმარტავს, ლიმიტირებული ბიუჯეტი სკოლაში შესვლის წინ ტემპერატურის გაზომვის ორგანიზების შესაძლებლობას არ იძლევა, ამიტომ ამ ვალდებულების გადაბარება მშობელზე იგეგმება. ასევე აღნიშნულია, რომ სიმპტომების გაჩენის დროს მოსწავლის იზოლირება სკოლის ერთ-ერთ შენობაში მოხდება, შემდეგ კი მოსწავლეს მშობლებს გადააბარებენ, რომლებიც, თავის მხრივ, ვალდებულნი არიან, კონსულტაციისთვის ოჯახის ექიმის მიმართონ.

გარდა ამისა, შესაძლებელია, გაკვეთილების განრიგი შეიცვალოს ისე, რომ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები ნაკლებად გადაეკვეთონ ერთმანეთს. არ არის გამორიცხული ასევე სწავლის ორ ცვლად დაწყება. თავად სკოლის მოსწავლეებს კი ერთადგილიან მერხებზე გადასვამენ. გაკვეთილებზე დასასწრებად ექვს წელზე უფროსი ასაკის ბავშვები ვალდებულნი იქნებიან, გამოიყენონ პირბადეები. ამასთან, მთავრობა საჯარო სკოლების საჭიროებებისთვის 11 მილიონ პირბადეს და 170 ათას ლიტრ ანტისეპტიკურ ხსნარს გამოყოფს.

ბრაზილია

ბრაზილიის სკოლებში, ჩვეულებრივ, სასწავლო წელი თებერვლის დასაწყისში იწყება, თითქმის შობამდე გრძელდება და მხოლოდ ივლისში არდადეგების გამო წყდება. მაგრამ 2020 წელი გამონაკლისი აღმოჩნდა. მარტიდან მოყოლებული, ბრაზილიის ყველა რეგიონმა, კორონავირუსის სწრაფი გავრცელების გამო, ერთმანეთის მიყოლებით სკოლები დახურა და დისტანციურ სწავლაზე გადავიდა. დღეს ბავშვების სკოლებში დაბრუნების საკითხი ერთ-ერთი ყველაზე განხილვადია ქვეყანაში.

ქვეყანაში, სადაც ათიდან რვა ადამიანი სკოლების ნაჩქარევად გახსნას ეწინააღმდეგება, ბრაზილიელი გუბერნატორების ნახევარზე მეტმა სკოლების და უნივერსიტეტების ეტაპობრივად გახსნის გადაწყვეტილება უკვე გააუღერა. მაგალითად, სან-პაულუში პირველად სასწავლო დაწესებულებები მოსწავლეებისთვის სექტემბერში უნდა გახსნილიყო, მაგრამ შტატის მთავრობამ სკოლების გახსნის ოქტომბერში გადადების შესახებ უკვე განაცხადა.

აშშ

აშშ-ში, ქვეყანაში სადაც მსოფლიოში ყველაზე მეტი კოვიდინფიცირებულია, ახალი სასწავლო წელი უსაფრთხოების ზომების და დისტანციის დაცვით იწყება. ბევრი სახელმწიფო სკოლა ამერიკაში სასწაცლო პროცესს ორკვირიანი დაგვიანებით განაახლებს, რადგან ახალი რეალობისთვის მომზადებას მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე თავიდან იყო ნავარაუდევი. ამასთან, რიგი შტატების გუბერნატორები ადგილობრივი მთავრობისგან ახალი სასწავლო წლის გადადებას ითხოვენ, როგორც მინიმუმ სექტემბრის ბოლომდე.

ქვეყნის დაწყებითი და საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებები მოსწავლეებს ტემპერატურის შემოწმებით და 2 მეტრის დაშორებით განთავსებული მერხებით ხვდებიან. სკოლის ავტობუსებიც ნაკლებ ბავშვს ჩაისვამს, იმისთვის რომ აუცილებელი დისტანცია დაიცვან. ნიღბების ტარების მოთხოვნა უნივერსალური არ იქნება და ასეთ გადაწყვეტილებას თავად სკოლის ხელმძღვანელობა ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე მიიღებს. რიგი სკოლები მშობლებს არჩევანს სთავაზობენ: ასწავლონ შვილებს კლასებში ან დისტანციურად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სავარაუდოდ, დისტანციური გაკვეთილები მეორე ტრიმესტრამდე გაგრძელდება.

„ეტალონი“

რატომ არ უნდა ეკეთოს მოსწავლეს სკოლაში პირბადე?

ინფექციონისტი სამ მნიშვნელოვან მიზეზს ასახელებს

ინფექციონისტი **მაია ბუწაშვილი** სოციალურ ქსელში მორიგ საინტერესო პოსტს აქვეყნებს, სადაც ასახელებს სამ მიზეზს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ უნდა ეკეთოს მოსწავლეს სკოლაში პირბადე:

— ბევრი მშობელი ღელავს იმ გადაწყვეტილების გამო, რომ ბავშვებს მიეცათ უფლება, არ ატარონ ნიღბები სკოლაში. მე ვფიქრობ, განათლების სამინისტროს ეს გადაწყვეტილება იყო სწორი შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. ბავშვები ნიღბებს ხშირად სრულიად არასწორად მოიხმარენ, მიუხედავად მშობლების მითითებისა, ნიღაბს კიდებენ ხელს და აბინძურებენ. როდესაც ბავშვი იგრძნობს დისკომფორტს პირბადის ტარებისას (და ეს დისკომფორტი პირბადის გამოყენებას ნამდვილად ახლავს), მაღალი ალბათობით ხშირად მოიხსნიან, განსაკუთრებით შესვენების დროს და მასწავლებლებს ძალიან გაუჭირდებათ თითოეული ბავშვი აკონტროლონ. დროებით მოხსნილ პირბადეს შეეხებიან ჭუჭყიანი ხელით, ჩაიდებენ ჯიბეში, შეიძლება ძირს დაუვარდეთ და ისევ აიღონ. შემდეგ ეს დაბინძურებული პირბადე ისევ მოხვდება სახეზე და გადაიქცევა მიკროორგანიზმების წყაროდ.

2. ბავშვები ხშირად დარბიან სკოლის ეზოში, დერეფნებში და იოფლებიან. დანესტიანებული პირბადე დაუყოვნებლივ უნდა გამოიცვალოს, რადგან შესაძლებელია, გამოიწვიოს სუნთქვის გაძნელება. ამის რეგულირება სკოლაში თითქმის შეუძლებელია!

3. პირბადეს ვერ გამოიყენებენ ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემების (განსაკუთრებით სასუნთქი და გულსისხლძარღვთა დაავადებების) მქონე ბავშვები. ამიტომ მოსაწავლეებს შორის ასეთები აშკარად გამორჩეულები აღმოჩნდებიან და ეს გარკვეულად სტიგმასთან იქნება დაკავშირებული. ანუ ყველასთვის გასაგები გახდება, რომ თუ ბავშვს არ უკეთია პირბადე, მას რაღაც პრობლემა აქვს. ბავშვის მიერ ასეთი ფაქტები მწვავედ აღიქმება და სტრესული იქნება.

P.S. **ძალიან მნიშვნელოვანია სკოლებში ჰიგიენური პირობების დაცვა და ძალისხმევა ამ მიმართულებით უნდა იყოს მიმართული. მოწესრიგებული სველი წერტილები, ხელის საპნით დაბანის და გაშრობის საშუალება გადამწყვეტია ინფექციურ დაავადებებთან, მათ შორის კორონავირუსთან ბრძოლაში“.**

შემოდგომის მღელვარების დრო მოვიდა!..

ინფექციონისტების, ეპიდემიოლოგების, თერაპევტების, კარდიოლოგებისა და სხვა პროფილის სწავლულ მედიკოსთა საერთო აზრით, კორონავირუსის მთავარი სამიზნე სისხლძარღვებია. ინფექცია წვრილ სისხლძარღვთა შიდა კედლებს აზიანებს, რის გამოც მიკროტრომბები წარმოიშვება. იმის გამო, რომ სისხლძარღვები ადამიანის ორგანიზმში, ფაქტობრივად, ყველგანაა, ამდენად შესაძლოა ინფექციის შეყრის შემთხვევაში დაზარალდეს ნებისმიერი ორგანო. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ფილტვების დაზიანება ყველაზე მეტადაა თვალში საცემი იმის გამო, რომ მათში ყველაზე მეტი სისხლძარღვია.

კოვიდ-19-ის გადატანილთა ბოლო კვირებში გერმანელი სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ გამოჯანმრთელებიდან 3-4 თვის შემდეგ ყოფილ ინფიცირებულთა 60 პროცენტს აქტიური მიოკარდიტი აღენიშნებათ. ესაა გულის კუნთის (მიოკარდიის) ანთება, რომელსაც, სტატისტიკის თანახმად, უახლოეს 3-10 წელიწადში ყოველი მეოთხე ყოფილი ავადმყოფის სიკვდილის გამოწვევა შეუძლია.

თანაც, მიოკარდიტის განვითარება გადატანილი ავადმყოფობის ფორმის სიმძიმეზე სულაც არ არის დამოკიდებული. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სწორედ რომ გადატანილი კორონავირუსული ინფექციის შემდგომ მიოკარდის დაზიანების მიზეზით პაციენტებს სისუსტე, გულის ამოვარდნა და გაძლიერებული გულისცემა აღენიშნებათ.

სწავლულ მედიკოსთა აზრით, კოვიდ-19-მა ინფექციაგადატანილ ადამიანთა გულსისხლძარღვთა ჯანმრთელობას უპრეცედენტო დარტყმა მიაყენა. კორონავირუსით ყველაზე მეტად დაზარალებულ ქვეყნებში — იტალიაში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთში ექიმებისთვის ცხადი გახდა, რომ ეპიდემიის დროს მკვეთრად შემცირდა იმ პაციენტთა ოდენობა, ვისაც სამედიცინო დახმარების გაწევა სჭირდებოდა გულსისხლძარღვთან წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ ადამიანებს ეშინოდათ, კორონავირუსი თავად საავადმყოფოში არ შეყროდათ და თუ მიოკარდის მძიმე ინფარქტების ან ინსულტების დროს ისინი ამ ფსიქოლოგიურ ბარიერს ჩვეულებრივ სძლევდნენ, სხვა შემთხვევებში ავადმყოფი ადამიანები უფრო ხშირად მოთმენას ამჯობინებდნენ.

ამჟამად თანდათანობით მკვიდრდება იმის შეგნება, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის დასრულების შემდეგ კაცობრიობას ეგრეთ წოდებული „მწარე შედეგების მომკის ფენომენი“ მოელის. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, ისაა, რომ გულსისხლძარღვთა დაავადებების მქონე ადამიანებმა, ვინც კორონავირუსული ინფექცია გადაიტანეს, ჯანმრთელობისთვის მეტად სახიფათო, მძლავრი დარტყმა მიიღეს, რაც, შესაძლოა, შემოდგომაზე სიკვდილიანობის საბაბი გახდეს.

ამასთან, ხალხმა უნდა იცოდეს, რომ გულსისხლძარღვთა ყოველ დაავადებას თავისი გამაფრთხილებელი ნიშნები ახასიათებს. თუკი საქმე გულის უკმარისობასთან გვაქვს, მაშინ ეს ქოშინის მომძლავრებაა; თუკი გულისცემის დარღვევასთან ერთად პაციენტი გულის მუშაობაში შეფერხებების გახშირებას ან მომძლავრებას ამჩნევს, დროს განგაშის მიზეზი ისაა, რომ მაღალი წნევის კორონავირუსამდე ეფექტიანად მოქმედი პრეპარატები საქმეს უკვე ნაკლებად შველიან.

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ადამიანების მთავარი შეცდომა ისაა, რომ კონტაქტების დროს ისინი პირბადეებს არ ატარებენ. საჭიროა, ყველას გვახსოვდეს: თუკი ტრანსპორტში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ნებისმიერ სხვა ადგილას ვიმყოფებით, მაშინ პირბადე პოტენციური ინფექციისგან გვიცავს. როცა ინფექციური პროცესის ორივე მონაწილე, ისიც, ვინც უკვე დაავადებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცის ამის შესახებ და ისიც, ვინც ჯანმრთელია — პირბადეებს ატარებს, ინფექციის გავრცელება სწორედ ამ დროს წყდება.

ზოგადად თუ ვიტყვით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პირბადის ტარება გარშემო მყოფთა მიმართ პატივისცემის ნიშანია!

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ბოლოთქმის მაგივრ: **ზაფხულის მიწურულს, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, კერძოდ ესპანეთში, საფრანგეთში, ბელგიაში, საბერძნეთში და სხვაგან, კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევათა ნახტომისებრი ზრდა დადგინდა, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ ბევრგან სახლიდან პირბადის გარეშე გამოსვლის გამო სასჯელი საგრძნობლად გამკაცრდა.**

მაგალითისთვის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პირბადის გარეშე გამოჩენის შემთხვევაში გერმანიაში ჯარიმა 5000 ევრომდეა, იტალიაში (კამპანიას პროვინციაში) — 1000 ევრო, ჩეხეთში — 10 ათასი კრონი; ბელგიაში — 250 ევრო; ისრაელში — 200 შეკელი, რუსეთში — 4-5 ათასი რუბლი, ხოლო მაროკოში — სამ თვემდე თავისუფლების აღკვეთა.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

არის, ასრულდა!..

მაშ ასე, 2020 წლის 14 ნოემბერი ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული რაგბის მატიანეში. დიახ, სწორედ გვიანი შემოდგომის იმ საღამოს ინგლისური რაგბის მექაში — თვიქნემში „ბორჯღალოსნები“ ხორცს შეასხამენ თაობათა ოცნებას და შემოდგომის ერთა თასის (ყოფილი ექვსი ერისა და პირობითად — რვა ერის) გათამაშების პირველ შეხვედრას მასპინძლებთან გამართავენ.

რაც შეეხება ჯგუფური რაუნდის დანარჩენ მატჩებს, 21 ნოემბერს, სავარაუდოდ, ლონდონის „ტოტენჰემის“ სტადიონზე უელსს ვეთამაშებით, რადგან კარდიფის „პრინციპალითი არენა“ კორონავირუსის გამო ჰოსპიტლადაა გადაკეთებული, ხოლო 29 ნოემბერს დუბლინის „ავივაზე“ ირლანდია გამოგვცდის.

გარკვეულია ისიც, რომ რაგბის სამშობლოს 5 დეკემბერს „მერიფილდზე“ დავემშვიდობებით, სადაც მეორე ჯგუფში შესაბამის ადგილზე გასულ ნაკრებთან მოგვიწევს სათანადო პოზიციისთვის ბრძოლა.

გულშემატკივრებს ამთავითვე ვაუწყებთ, რომ თანამემამულეთათვის ისტორიული ტურნირის თითოეული მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს „ტელეიმედი“ შემოგვთავაზებს.

ალბათ, გაინტერესებთ, როგორ აღმოვჩნდით სარაგბო ელიტაში, სადაც ბობოლათა ევროპულ ექვსეულს რეიტინგით ჩვენზე წინ მყოფი ფიჯი და იაპონია უნდა დამატებოდნენ.

ზოგი ჭირი მარგებელიასი არ იყოს, ამჯერად მეკავშირედ კორონაპანდემია მოგვევლინა, რის გამოც ამომავალი მზის ქვეყნის რაგბის კავშირმა წლის ბოლომდე იაპონურ გუნდებს ყველა საერთაშორისო ღონისძიებაში აუკრძალა ასპარეზობა და „საკურები“ ევროპაში ვერაფრით ჩამოვიდოდნენ.

იყო მსოფლიო რაგბის ფრანგი ვიცეპრეზიდენტის ბერნარ ლაპორტის მცდელობაც, აზიელთა ნაცვლად სამხრეთ აფრიკა მოეწვია, მაგრამ „ბოკეს“ კალენდრის გამო ეს ვარიანტიც გამოირიცხა — ზუსტად იმ პერიოდში მსოფლიო თასის მოქმედ გვირგვინოსანს ავსტრალიაში ან ახალ ზელანდიაში უწევს ოთხი ერის გათამაშებაში თამაში.

ვიმედოვნებთ, უფლის ასეთ საჩუქარს გახლეჩილი ქართული სარაგბო თემის გამთლიანებითა და უმნიშვნელოვანესი დებიუტისთვის ღირსეულად მომზადებით ვუპასუხებთ, მანამდე კი ექვსი ერის აღმასრულებელ დირექტორს ბენ მორელს მოვუსმინოთ: **„სიხარულით გვსურს გაუწყოთ შემოდგომის ერთა თასის შესახებ. ახალი ტურნირის ფორმატის შესარჩევად ძალიან დიდი დრო დაიხარჯა, მაგრამ მისი ჩატარება ყველას სურდა.**

კოვიდ-19-ის პანდემიამ ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა, რის გამოც ტრადიციული შემოდგომის ტესტები ვერ ჩატარდა. სამაგიეროდ, ჩვენ უნიკალური ტურნირი შევქმენით, რომელიც ფანებისთვის მსოფლიოს მასშტაბით უმაღლესი დონის რაგბის გარანტიაა.

მათ ერთი სული აქვთ, როდის დაიწყება ეს ბრწყინვალე სანახაობა, რომელშიც ბევრი დიდი მორაგბე ითამაშებს.

განსაკუთრებით მოხარულნი ვართ ფიჯისა და საქართველოს ნაკრებების დამატებით, რადგან გვწამს, რომ ორივე გუნდი გასაოცარი შენაძენი იქნება ახალი ტურნირისთვის“.

რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია! ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, შეგახსენოთ, რომ სეზონის მოვლენაში ჩაბმამდე 23 ოქტომბერს ედინბურგში საპატიო ტესტს გავმართავთ შოტლანდიასთან, ხოლო 1 ნოემბერს ჩვენს მიერ ვადამდე მოგებული რაგბი ევროპის გადმოტანილ დასკვნით შეხვედრაში „მიხეილ მესხზე“ რუსეთს ვუმასპინძლებთ.

კობა კობახიძე

◎ კორტი ძმობისა

სხვა უფლება არცა გვაქვს

საქართველოს ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, სპორტის საყვარელი სახეობის დაუცხრომელ პოპულარიზატორსა და ყოველგვარი სიახლის მომხრეს მირიან ანდრიაძეს თითქმის წელიწადია, არ ასვენებდა იდეა — ჩაეტარებინა საკუთარ სამშობლოში ხიზნებად ქცეულთა ტურნირი და ამით ხმა მიეწვდინა ენგურსგაღმა მცხოვრებ თანამემამულეთათვის.

მის აღნიშნულ ინიციატივას მხარდაჭერა გამოუცხადა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ გამახარიამ და, პანდემიის მიუხედავად, ჩანაფიქრი რეალობად იქცა — ზეგ დედაქალაქის ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე იწყება სამდღიანი ღია სამოყვარულო საჩოგბურთო ფესტივალი „სპორტი და მშვიდობა“ (მთავარი მსაჯი — დიანა შაფათავა).

ღონისძიებაში დევნილებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და გორის 60-მდე წარმომადგენელი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ძირითადი ბადეებიდან გამოთიშულთათვის სტიმულის შესანარჩუნებლად ორგანიზატორთა — აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა (როლანდ ნიჟარაძე) და საქართველოს ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაციის (ვლადიმერ გოგლიძე) მიერ გადადგმული ნაბიჯი — მათთვის ერთეულთა თანრიგში დამამშვიდებელი გათამაშება გაიმართება და გამარჯვებული, ძირითადი საფესტივალო ტურნირის ლაურეატთა მსგავსად, მედლითა და სიგელით დაჯილდოვდება.

აქვე გთავაზობთ ამონარიდებს ფესტივალის „სპორტი და მშვიდობა“ მონაწილეთა ძარღვიანი მიმართვიდან:

„მოგესალმებით ჩვენს აფხაზ ძმებსა და დებს, დიდსა და პატარას.

უკვე 27 წელიწადია, რაც ჩვენს შორის ინსპირირებულმა და ჩამოგდებულმა ხელოვნურმა შუღლმა, რომელსაც ორივე მხარე წამოვეგეთ, დაარღვია ჩვენი სამშობლოს — საქართველოს ერთიანობა.

დაფიქრებულხართ, რა მოუტანა საქართველოსა და მის ღვთიურ კუთხეს — აფხაზეთს ამ უაზრო სისხლისმღვრელმა ომმა და მის შედეგად დედასამშობლოს — საქართველოს გახლეჩვამ და ერთმანეთისგან ხელოვნურმა, ძალისმიერმა ჩამოშორებამ? არაფერი, გარდა უკუსვლისა და რეგრესისა.

გვერწმუნეთ, თქვენ უფრო ბედნიერები იქნებით გაერთიანებულ საქართველოში და ჩვენც თქვენთან ერთად უფრო სწრაფად შევძლებთ საქართველოს აყვავებასა და მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ სანიმუშო, მაღალგანვითარებულ ქვეყნად გადაქცევას.

მოდით, ყური მივუგდოთ მთის არწივს, ბრძენ ვაჟა-ფშაველას: „საცა ვცხოვრობთ და რომელი ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლითა და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამე, გავაკეთოთ იმის სასარგებლოთ ჩვენის ძალ-ღონისდაგვარად, რაც კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს — ეკონომიური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული... თუ ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისთვის ვიძნებით კარგნი, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიძნებით, თუ არადა ტყუილი მოცდენაა, ამო შრომაა“...

ძმებო აფხაზებო! იყავით ჩვენთან ერთად საქართველოსთვის კარგნი და მთელი კაცობრიობისთვის სასარგებლონი.

ვუსურვებთ ჩვენს სამშობლოს გაერთიანებას!

დავძენთ, რომ ჩვენი ფედერაციის წევრთა ნაწილმა ჩოგბურთის თამაში აფხაზეთში ისწავლა. გვჯერა, რომ მომავალ ფესტივალებს სწორედ იქ მოვაწყობთ!“

ბეჟან დოლიძე

◎ ახალ ამჰლუაში

გამარჯვების სეხნია



სპორტის მოყვარულთათვის „მფრინავი ჰოლანდიელი“ იოჰან კრუიფი წარმატებისა და დიდოსტატობის სიმბოლოა, და არა მარტო ფეხბურთში.

მის გვერდით რომ მოგიხსენიებენ, თანაც, როგორც გამარჯვების სეხნიას — ვიქტორს, ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს.

და მართლაც, სავსებით ლოგიკური იყო, სანიკიძეს „მფრინავი ქართველი“ რომ უწოდეს — როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, რადგან ხშირად მეორე სართულიდან გეთამაშებოდა, სადაც ბევრისთვის მიუწვდომელი იყო, ხოლო კალათბურთის მოედანი მისთვის ერთგვარ კიდობანს წარმოადგენდა.

იყვნენ ტრავმებით გატანჯულ „ჯვაროსანთა“ მე-13 ნომერზე კარგი მსროლელები და მცველები, უფრო დახვეწილი და ელეგანტური პარტნიორები, მაგრამ სამი ევრობასკეტის მონაწილე ყოველივე ამას აგრესიულობითა და არაადამიანური ჟინით ფარავდა.

პროფესიონალიზმი და ლტოლვა ხომ ყოველთვის მოჭარბებული დოზით ჰქონდა, რაც მის საკალათბურთო ავტოგრაფად იქცა.

მოკლედ, ჩვენმა ვიქტორმა, ჩვენმა მოგებამ კალათბურთი ჯიგრით ითამაშა სამშობლოსთვის და არაფერია გასაოცარი იმაში, ამ სულით ძლიერ პიროვნებას, ახლახან კორონავირუსის გამო დედა რომ დაკარგა, მმართველი პარტიის წინასაარჩევნო სიის მოწინავე ოცეულის წევრობა რომ ანდეს.

აკი, განაცხადა კიდეც წარდგინების შემდეგ — როგორც პარლამენტის დეპუტატი, მთელ რესურსს, გამოცდილებასა და კავშირებს საქართველოს მოვახმარო.

ეს რომ ფუჭი დაპირება არაა, ნაცვლიშვილის, ფაჩულიასა და, უპირველესად, ცინცაძის საუკეთესო თანაგუნდელის სანაკრებო კარიერაც მოწმობს, თუმცა, რატომ მხოლოდ სანაკრებო?

საღარბაზო ბარათი

დაიბადა 1986 წლის 1 აპრილს თბილისში. სიმაღლე — 203 სმ. წონა — 100 კგ. სპორტის საყვარელ სახეობაში ვარჯიში დადაქალაქის საკალათბურთო აკადემიაში დაიწყო, ხოლო 2001-2002 წლებში ნიუ-ორკში სწავლისას გლობალ ტეკის კოლეჯის გუნდში თამაშობდა. კლუბები — თბილისის „დინამო“, საფრანგეთის „დიჟონი“, სადაც ფიბა-ს თასის ფინალისტი გახდა, ესპანეთის „ესტუდიანტესი“ და „სარაგოსა“, იტალიის „ვირტუსი“ და „სიენა“, ესტონეთის „ტარტუ როკი“, რუსეთის „უნიქსი“, თურქეთის „ტედ ანკარა“ და საბერძნეთის „არისი“. 2004 წელს ნბა-ს დრაფტზე სანიკიძე 42-ე ნომრად „ატლანტამ“ აირჩია, მაგრამ იმავე დღეს მასზე უფლებები „სან ანტონიომ“ შეისყიდა, სადაც ვიქტორს ერთი ოფიციალური შეხვედრაც არ გაუმართავს.

*დავძენთ, რომ კონტინენტის 18-წლამდელთა და 20 წლამდელთა **(„ბ“ დივიზიონი)** ჩემპიონატების მონაწილეს ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.*

ვიტალი ჯაფარიძე

◎ დაფასება

კამპანიას გაუმარჯოს!

სერხიო რამოსი, ანტუან გრიზმანი, ერლინგ ჰაალანდი და თვით წლევანდელი პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული კევინ დე ბრუინი — ასეთ თანავარსკვლავედში მოხვდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა, რომელმაც „ჯვაროსანთა“ მაისურით ჩრდილოეთ მაკედონიასთან 51-ე მატჩი ჩაატარა, თანაც — ბრწყინვალედ!

სწორედ ამიტომ დაიმსახურა მან სტატისტიკისა და საფეხბურთო ანალიტიკის ავტორიტეტულ ინტერნეტპორტალ **სოფასქორ. კომ**-ის აღიარება და ერთა ლიგის მეორე ტურის სიმბოლურ ნაკრებში ადგილი.

დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავია 10-ბალიან სისტემაში ჩვენი გუნდის საყრდენი ნახევარმცველისთვის გამეტებული შეფასებაც — 7,9 ქულა!

გიორგი შოთაძე

სანთელი

უბრალოებასა და თავმდაბლობასთან ნაზავი ვაჟკაცური სული

რომან კიზირიას ხსოვნას

სამიოდე წლის წინ, 70 წლის იუბილე მივულოცეთ და კიდევ რამდენი საიუბილეო თარიღი უნდა გვეზეიმა, მაგრამ ამაოდ...

მიუხედავად ოჯახის, ახლობლების თავდაუზოგავი ბრძოლისა სიკვდილ-სიცოცხლესთან, მძიმე და უკურნებელმა სენმა ხელიდან გამოგვაცალა უკეთილშობილესი პიროვნება, აბაშის საპატიო მოქალაქე **რომან იასონის ძე კიზირია**.

ვინც ბატონ რომანს იცნობდა, ყველას დაამახსოვრდება იგი გაკეთებული კეთილი საქმეებით და არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით.

რომან კიზირია დაიბადა 1947 წელს აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოში, აღიზარდა ისეთ ოჯახში, სადაც სუფევდა მაღალი ზნეობა, სინდისი და პატიოსნება, სიქველე და შინაგანი კულტურა. ასეთები იყვნენ მისი მშობლები, ამ სულით აღზარდეს რომანი და მისი და-ძმა.

1970 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ მუშაობას იწყებს საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომში ინსტრუქტორად, მალევე აირჩიეს საქართველოს კომკავშირის აბაშის რაიკომის პირველ მდივნად.

ბატონ რომანს მუშაობა მოუხდა საქვეყნოდ ცნობილი აბაშური ექსპერიმენტების პერიოდში, რომლის უშუალო მონაწილე თავად გახლდათ. საქმის ღრმა ცოდნამ, მაღალმა პროფესიონალურმა ალღომ და თვისებებმა, კეთილსინდისიერებამ მიიყვანა იგი მაღალ თანამდებობრივ საფეხურამდე.

არჩეული იქნა პარტიის რაიკომის ჯერ მეორე, ხოლო შემდეგ პირველ მდივნად. ძალიან ბევრს მუშაობდა ბატონი რომანი, რომ ყველაფერი გათვლილი და სიზუსტით გაანგარიშებული ყოფილიყო. იგი ღრმა ანალიტიკური აზროვნების პიროვნება იყო. ხელწიფებოდა, უახლესი მიღწევები მიესადაგებინა და დაენერგა რაიონის წინსვლისა და აღმშენებლობის საქმეში. სკოლები, კულტურის ცენტრები, საბავშვო ბაღები, ქარხნები, ადმინისტრაციული შენობები და სხვა... რომელი ერთი უნდა ჩამოთვალო, რა გამოლევს იმ წლებში გაკეთებულ საქმეებს და ყველაფერს ამას ბატონი რომანი აკეთებდა უდიდესი პასუხისმგებლობით და რუდუნებით.

გამორჩეულ ნიჭსა და უნარს თან სდევდა მისი ვაჟკაცური სული, უბრალოება, სიდინჯე, ქველმოქმედება, რაც ჭეშმარიტ ლიდერად წარმოაჩენდა. ყოველი მისი სიტყვა-პასუხი, საუბარი, დისკუსია იყო განსწავლულობის, ნიჭიერებისა და გონებამახვილობის, წიგნიერების ჭეშმარიტი დასტური. იყო არაერთი ჯილდოს მფლობელი.

პარტიული საქმიანობის შემდეგ ბატონი რომანი ბიზნესში ჩაერთო, ოჯახთან ერთად ხუთი წელი დაჰყო ქვეყნის გარეთ. ბოლო ექვსი წელი, სანამ ავადმყოფობა დარევდა ხელს, აბაშაში, მშობლიურ სოფელში მეცხოველეობისა და მემცენარეობის განვითარებას ჩაუდგა სათავეში და წარმატებული ფერმერი გახდა, ხალხიც დაასაქმა.

ბატონ რომანის სამსახურებრივ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ამშვენებდა და ხიბლს მატებდა მისი თბილი, ლამაზი ოჯახი. მეუღლე, ქალბატონი ლია ადამია, განათლებული, სათნო, მოსიყვარულე ქალბატონი, მეუღლეს ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში გვერდში ედგა.

როგორც ბატონ რომანს, ასვე მასაც გულთან მიჰქონდა ყველას სატკივარი, ერთად იზიარებდნენ ჭირსა და ლხინს. ორი შესანიშნავი ქალ-ვაჟი აღზარდეს — იასონი და მარიკა, ოთხი შვილიშვილი, შვილთაშვილი უთბობდა ბატონ რომანს სულსა და გულს.

ძალზე მტკივნეული იყო ბატონ რომანისთვის ძმის ემზარის ნაადრევად წასვლა ამ ქვეყნიდან, უკეთილშობილესი პიროვნება, უნიჭიერესი ინჟინერი, რომელიც სამების ტაძრის მშენებლობის მთავარი ინჟინერი გახლდათ და რომელმაც მთელი ძალა და ენერგია ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში ჩააქსოვა.

ერთადერთი და ჰყავს ბატონ რომანს, განათლებული, სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე ქალბატონი ივეტა. განუზომელია მისთვის ძმების დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. შესაშური და-ძმობა ჰქონდათ, რასაც ტრადიციულად აგრძელებს მათი შთამომავლები.

ყველა ადრე თუ გვიან მიდის ამ ცხოვრებიდან, მთავარია, ვინ როგორ გაივლის ამ გზას. ბატონი რომანის ცხოვრება და მოღვაწეობა, მის მიერ განვლილი გზა არის იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა იცხოვრო, როგორ ემსახურო შენს ხალხს.

აღარ არის ბატონი რომანი, მაგრამ დარჩა მისი გაკეთებული კეთილი საქმეები, უამრავი მეგობარი და გულშემატკივარი, რომლებსაც სიცოცხლის ბოლომდე ემახსოვრებათ ისეთი, როგორიც იყო. დარჩა შესანიშნავი შთამომავლობა, რომელიც მის ანდერძს, რომ იცხოვრონ ქრისტიანული ადათ-წესებით, ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობით, აუცილებლად შეასრულებენ.

მშვიდობით ძმაო და მეგობარო, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, რომან. სიკვდილი ვერაფერს დააკლებს შენს სახელს, იმ დიდ სიყვარულსა და თანადგომას, რასაც შენ უხვად უნაწილებდი შენს გარშემო მყოფთ, სწორედ ამით გამოგარჩია უფალმა, ყველა ალალი ცრემლებით გეთხოვება, ღმერთს შევთხოვთ, რომ ჩვენი დანთებული სანთლები გინათებდეს სასუფეველს. განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ამინ!

ლევან მაკალათია, გურამ გუნავა, მამუკა კვიტაშვილი, დარეჯან ელიავაძე, გალაქტიონ კუცია, სპარტაკ ქოგულია, ზაურ თელია, დემურ გადელია, პეტრე ბერაია, დავით გვაძაგია, ოთარ ჭითანავა, ვალერი ჭანტურია, რაულ ჯაახია, მირზა ქორქაშვილი, ტარიელ დგებუაძე, გურამ მესაგიშვილი, ანზორ ცაგურია, მევლუდ მიმინოშვილი, ვალერი ფირცხალავა, ალან თოდუა, ბადრი ბარკალაია, ანგელინა გვაზავა, ლილი გუგუშვილი, ნანა (ნანული) გუნია, მარინა კანდელაკი, ვახტანგ გაგელაია, კუკური ლასარეიშვილი, მერაბ მიგინეიშვილი, გოჩა ხურცილავა, ვალერი ურუმაშვილი, ომარ ცომაია, არკადი კიზირია, რობერტ ჭანტურია, გია კუცია, იური იოგაია, ვეფხია ცომაია, გურამ თოფურია, გულიშა ურიდია, ბორის ლასარეიშვილი.

სანთელი

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო იუწყება რაიონის საპატიო მოქალაქის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის

რომან კიზირიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

მამუკა კვიტაშვილი ოჯახით უდიდესი გულისტკივილით იუწყება ღირსეული მამულიშვილის, საიმედო, უღალატო ადამიანის

რომან კიზირიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

სვეტლანა, დავით, ნოდარ ტყეებუჩავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლობელი ადამიანის, საზოგადოების გამორჩეული წევრის, უკეთილშობილესი პიროვნების

რომან კიზირიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

ლილი და ზაურ თელიები ოჯახით უდიდესი გულისტკივილით იუწყებიან ახლობელი ადამიანის, ღირსეული პიროვნების, საუკეთესო ადამიანური თვისებებით გამორჩეული პიროვნების

რომან კიზირიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

ლადო ქორჩილავა, დალი, გია ჯღარკავები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან საზოგადოებაში გამორჩეული ღირსეული პიროვნების

რომან კიზირიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

თენგიზ კალანდაძის მეუღლე ფოთოლა კალანდაძე ოჯახით იუწყება ღირსეული პიროვნების

რომან კიზირიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

შავკანიანი მკვლელი

ლოს-ანჯელესის შტატში, პოლიციის ოფიცრები საავადმყოფოში სიცოცხლისთვის იბრძვიან მას შემდეგ, რაც მათ ერთ-ერთმა შავკანიანმა მამაკაცმა ჩასაფრება მოუწყო და ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლა. აღნიშნული შემთხვევის ამსახველ ვიდეოს ბრიტანული მედია აქვეყნებს.

პოლიციის ოფიცერი ქალი და მამაკაცი ისხდნენ თავიან საპატრული მანქანაში, რა დროსაც ბოროტმოქმედი მათ მიუახლოვდა და ფანჯრიდან დამიზნებითი ცეცხლი გაუხსნა ორივეს, შემდეგ კი მალევე გაუჩინარდა დანაშაულის ადგილიდან.

გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციის ოფიცრები კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან — მათ რამდენიმე ქირურგიული ოპერაცია ჩაუატარეს და ამ დრომდე ხელოვნური სუნთქვის აპარატზე არიან მიერთებულნი. სამართალდამცავთა მხრიდან აქტიური დევნა და სამძებრო ოპერაცია მიმდინარეობს თავდამსხმელის გამოსავლენად.

* * *

დონალდ ტრამპი ამერიკელ პოლიციელებზე თავდასხმის ფაქტს გამოეხმაურა. მან სენსაციური განცხადება გააკეთა იმ ბოროტმოქმედზე, რომელმაც სამართალდამცავები ჩაცხრილეს — **„ცხოველებს ძლიერად უნდა დავარტყათ. იმ შემთხვევაში თუ პოლიციელები დაიხოცებიან, მკვლელი სწრაფად უნდა გასამართლდეს და მას სიკვდილით დასჯა მიესაჯოს. ეს ერთადერთი გზაა ამ დაუსჯელობის დასასრულებლად“**

შეგახსენებთ, რომ კალიფორნიის სამართალდამცავ უწყებას შეუძლია სიკვდილით დასჯის განაჩენი სისრულეში მოიყვანოს. 2006 წლის შემდეგ აღნიშნულ შტატში არავის მიმართ არ დამდგარა სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილი. სიკვდილით დასჯის ნებართვა შესაძლოა გაიცეს ფედერალური იუსტიციის სისტემის მიერ, თუმცა პრაქტიკაში, სიკვდილით დასჯის უმრავლეს შემთხვევაში განაჩენის გამოტანა სახელმწიფო სასამართლოს მიერ ხორციელდება.

მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ჯილდო – ხელოვნების სასახლეს

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა – ხელოვნების სასახლემ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა.

„2020 Travelers 'Choice Awards"-ის გამარჯვებულებმა უნდა იამაყონ ამ გამორჩეული აღიარებით". მიუხედავად იმისა, რომ რთული წელი იყო მოგზაურობისა და სტუმართმოყვარეობისთვის, ჩვენ გვსურს, აღვნიშნოთ ჩვენი პარტნიორების მიღწევები. ჯილდოს მფლობელები განსაკუთრებული მომსახურებითა და ხარისხით გამოირჩევიან. ჩვენთვის ისინი შთაგონების დიდ წყაროს წარმოადგენენ მაშინ, როდესაც სამყარო კვლავ უბრუნდება აქტიურ სამუშაო რეჟიმს", – აღნიშნავს კანიკა სონი, Tripadvisor-ის მთავარი კომერციული დირექტორი.

ამ დროისთვის, საქართველოს ხელოვნების სასახლე საქართველოს 46 მუზეუმს შორის ონლაინ-პლატფორმაზე მყარად ინარჩუნებს მეორე ადგილს. ქართულ მუზეუმებს შორის პირველ ადგილზე ციფრული მუზეუმია, მეორე ადგილზე კი ფოტოგრაფიის გალერეა. ამ სამეულში ხელოვნების სასახლე ერთადერთი სახელმწიფო მუზეუმია.

ყოველწლიურ ჯილდოს სახელწოდებით „TripAdvisor Travelers Choice Awards", გამარჯვებულ ღირსშესანიშნაობას მსოფლიოს მასშტაბით საუკეთესო ადგილების 10%-ში ათავსებს, რაც განისაზღვრება საიტის მილიონობით მოგზაურის შეფასებებით.

„ოქროს ლომის" მფლობელი

ვენეციის კინოფესტივალის მთავარი პრიზის, „ოქროს ლომის" მფლობელი ამერიკელი რეჟისორის ქლოა ჩჟაოს ფილმი Nomadland გახდა.

ფილმი ქალზე მოგვითხრობს, რომელმაც ყველაფერი დაკარგა და იძულებული გახდა, ბორბლებიან სახლში იცხოვროს, რომლითაც დასავლეთის მიმართულებით გადაადგილდება.

საუკეთესო რეჟისორად ჟიურიმ კიეში კუროსაბა აღიარა, ფილმისთვის „ჯაშუშის ცოლი". ფესტივალის გრანპრი ხვდა წილად მიშელ ფრანკოსაც ფილმისთვის „ახალი წესრიგი". წლის საუკეთესო მსახიობ კაცად იტალიელი მსახიობი პიერ ფრანჩესკო ფავინო დასახელდა, საუკეთესო მსახიობი ქალი კი ბრიტანელი ვანესა კირბი გახდა.

მსახიობი კასკადიორის გარეშე

სოციალურ ქსელებში ჯეიმს კემერონის „ავატარის" სიქველის გადასაღები მოედნიდან ახალი კადრები გავრცელდა. კორონავირუსის გამო შეჩერებული გადაღებები ცოტა ხნის წინ განახლდა, ფოტოები კი საკუთარ „ინსტაგრამზე" პროდიუსერმა ჯონ ლანდაუმ გამოაქვეყნა.



ფოტოებზე მსახიობი სიგურნი უივერი წყალქვეშა სცენაზე მუშაობის დროს არის აღბეჭდილი. ლანდაუ წერს, რომ უივერს ექშენ-სცენების არასოდეს ეშინია და ყველაფერს თვითონ აკეთებს.

100 წლის წინ გამოგზავნილი წერილი

აშშ-ში, მიჩიგანის შტატში მცხოვრებმა ქალმა 100 წლის წინ გამოგზავნილი წერილი მიიღო.

30 წლის ბრიტნი კიჩი სი-ენ-ენ-თან აცხადებს, რომ გაკვირვებული დარჩა, როცა წერილი თავის კორესპოდენციებს შორის იპოვა, რადგან ახლა წერილებს უკვე თითქმის აღარავინ გზავნის. მან ყურადღება მიაქცია ფოსტის შტამპს, რომელიც 1920 წლის 29 ოქტომბრითაა დათარიღებული.

წერილს ხელს აწერს ვინმე ფლოსი ბერჯესი. წერილი ბრიტნის მისამართზე 100 წლის წინაა გამოგზავნილი და მისი ადრესატი როი მაქუინია.



„ძვირფასო ბიძაშვილებო, იმედი მაქვს, როცა ამ ბარათს მიიღებთ ჯანმრთელად იქნებით. აქ ძალიან ცივა. კარგად ვართ, მაგრამ დედას საშინლად სტკივა მუხლები. ახლახანს დავასრულე ისტორიის გაკვეთილის მომზადება და დასაძინებლად მივდივარ. მამა წვერს იპარსავს დედამ კი თქვენი მისამართი მიკარნახა. არ დაგავიწყდეთ მოგვწერეთ", – ნათქვამია წერილში.

ბრიტნიმ ეს წერილი სოციალურ ქსელში გაავრცელა. მას იმედი აქვს, რომ ბერჯესის ან მაქუინის ნათესავებს ან იმ ადამიანებს იპოვის, ვინც მათ ოჯახებს იცნობდა.

გარდაიცვალა ექსცენტრული მილიონერი

აშშ-ში 90 წლის მილიონერი ფორესტ ფენი გარდაიცვალა. კაცი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც განძის დამალვის შესახებ განაცხადა, რომელსაც 1000-მდე ადამიანი ეძებდა.

2020 წლის ივნისში ფრესტ ფენიმ განაცხადა, რომ განძი იპოვეს. ფენის ინფორმაციით, მას დაუკავშირდა ადამიანი, რომელმაც განძით სავსე სკივრი იპოვა. ამის დასადასტურებლად, მან კოლექციონერს ფოტო გაუგზავნა. განძის მპოვნელმა ინკოგნიტოდ დარჩენა გადაწყვიტა. განძის მაძიებელს სკივრის პოვნაში კოლექციონერის წიგნში გამოქვეყნებული ლექსი დაეხმარა.

სკივრის შესახებ, რომელშიც ინახებოდა ძვირფასი ქვები, ოქროს მონეტები, საიუველირო ნაკეთობები 2010 წელს კოლექციონერმა თავის ავტობიოგრაფიაში დაწერა. მან განძის დამალვის გადაწყვეტილება 1990 წლის ბოლოს მიიღო, როცა სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. ამ გადაწყვეტილებით მას სურდა, საკუთარი თავის ხსოვნა გარანტირებული გაეხადა. ექიმებმა დაავადების შეჩერება შეძლეს, თუმცა კოლექციონერმა განძის დამალვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მაინც არ შეცვალა.

კოლექციონერის წიგნში საგანძურის საპოვნელად 9 გამოცანა იყო. განძს 1000-მდე ადამიანი ეძებდა, აქედან ხუთი ადამიანი



განძის ძებნისას დაიღუპა. ფენი აცხადებდა, რომ განძი უსაფრთხო ადგილას იყო, თუმცა მაძიებლებს სიფრთხილისკენ მოუწოდებდა.

გამოცემის კითხვაზე, როგორ გრძნობდა კოლექციონერი თავს განძის პოვნის შემდეგ, ფენიმ უპასუხა, რომ ის ნაწილობრივ მხიარულია, ნაწილობრივ კი სევდა მოეძალა, რადგან განძის ძებნის ისტორია დასრულდა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე" – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 17 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1140; ევრო - 3.6929;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9931;
100 რუბლი - 4.1599; თურქული ლირა - 0.4168;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8331;
1000 სომხური დრამი - 6.3711.

ამინდი 15 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+34
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+19,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+15,	დღე	+33
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge